



შეფასების პოლიტიკა



გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
პოლიტიკა დაწერილია: პროგრამების კოორდინატორთა მიერ
პოლიტიკა დაწერილია: სექტემბერი, 2009
ბოლო გადახედვის თარიღი: სექტემბერი, 2021

ს. ზედაძე

სოფიო ბაზაძე
დირექტორი



ჩვენი მისია

“ევროპული სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია “ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ, თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ევროპული სკოლისთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. “ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიმდებლობით და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მადიებლების ჩამოყალიბებას.

ევროპული სკოლის შეფასების ფილოსოფია

ევროპული სკოლის მიერ გაცხადებული მისიიდან გამომდინარე, მისი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის კოგნიტურ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებასა და მათი მაქსიმალური პოტენციალის გამომჟღავნებას. ევროპულ სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა შეფასების ერთიანი პოლიტიკა, რომლის ძირითადი ფილოსოფია ეყრდნობა:

- მოსწავლეთა ჰოლისტურ/მრავალმხრივ შეფასებას, რაც მიიღწევა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით და უზრუნველყოფს თითოეული

მოსწავლის როგორც პოტენციალის გამოვლენას, ასევე იმის დადგენას, თუ რა მიმართულებით ესაჭიროება მას დამხმარებ;

- კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასებას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვლობას, ობიექტურობას, სანდოობასა და ვალიდობას;
- განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვას, რაც მიიღწევა თითოეული მოსწავლისთვის სისტემატური განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებით;
- შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვას, რაც მიიღწევა მოსწავლეთა თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით;
- მოსწავლეთა სწავლის შედეგების სისტემატურ ანალიზსა და ანალიზის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას;
- ევროპული სკოლის ყველა მასწავლებელი ორიენტირებულია დროულად მოახდინოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის აღმოჩენა და დაეხმაროს მათ შესაძლებლობების რეალიზებაში სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით.

შეფასების პოლიტიკისა და პროგრამის შეფასების მიზეზები

შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი ღიაა ევროპული სკოლის საზოგადოების ყველა წევრისთვის და მისი მიზანია გამჭვირვალე, ობიექტური, სანდო და ვალიდური შეფასების სისტემის ორგანიზება. დოკუმენტი შექმნილია როგორც სახელმძღვანელო სკოლის საზოგადოების თითოეული წევრისთვის:

- ევროპული სკოლის მისიის, ღირებულებებისა და ფილოსოფიის გათვალისწინებით, სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაფასებლად;
- სკოლის საზოგადოების წევრების მიერ პერიოდულად მოხდეს მისი რევიზია და დისკუსიის საფუძველზე განხორციელდეს მისი განახლება.

ვისთვის არის ეს პოლიტიკა?

შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი ღიაა ევროპული სკოლის სასკოლო საზოგადოებისათვის.

რატომ ვატარებთ შეფასებას?

- ევროპული სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა სწავლა-სწავლების პროცესი, ხოლო შეფასების სისტემა ორიენტირებულია, აჩვენოს თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ევროპული სკოლის საზოგადოება ორიენტირებულია ისეთი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გონებრივი, ფიზიკური, ემოციური თუ სოციალური უნარების განვითარებაზე და გამოავლენს თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

- ევროპული სკოლის შეფასების სისტემა მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განისაზღვრება შეფასების ტიპები, სტრატეგიები და ინსტრუმენტები. სხვადასხვა მიდგომებითა თუ სტრატეგიებით მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუშავდება შესაბამისი პედაგოგიური ტაქტიკა, ხდება განსაზღვრული სასწავლო პროცესის კორექცია, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას;
- სისტემატიურად ფიქსირდება ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის, მათი მიღწევების შესახებ და სკოლა დროულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის ინფორმირებას,

აკადემიური კეთილსინდისიერება

აკადემიური კეთილსინდისიერება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება რასაც ევროპული სკოლა ნერგავს თავის პროგრამებში.

აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მიზანია, ევროპული სკოლის მოსწავლეებმა პატივი სცენ სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას და ყურადღება გაამახვილონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობაზე წყაროების მითითებისა და ციტირების დროს. ევროპული სკოლა ისწრაფვის, რომ შექმნას გამომკითხველი, განათლებული, პრინციპული და დაბალანსებული სწავლულები, რომლებიც აქტიურად დაუჭერენ მხარს სკოლის მოსწავლეების ეთიკის კოდექსს.

ისევე როგორც მოსწავლეებმა და მშობლებმა უნდა გაიღონ ყველა ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს პლაგიატი, ასევე მასწავლებლებმა უნდა წახალისონ მოსწავლეები, რომ მათ ჩააბარონ საკუთარი ნამუშევარი. მასწავლებლები ასევე უნდა იყვნენ ყურადღებით და ფრთხილად, რომ დაინახონ პლაგიატი ყველა ფორმით.

აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა არ არის ფოკუსირებული სადამსჯელო ღონისძიებებზე აკადემიური კეთილსინდისიერების დამრღვევთა მიმართ, არამედ უზრუნველყოფს მოსწავლეების მრავალფეროვანი უნარების განვითარების გზით, აკადემიური არაკეთილსინდისიერების პრევენციას.



ქართული პროგრამა

შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

ევროპულ სკოლაში სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მოსწავლეთა შეფასების მეთოდის შერჩევის ამოსავალი პრინციპია შეფასდეს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. თითოეული საგნისთვის და კლასისთვის მოსწავლეთა შეფასების მეთოდების შერჩევა და შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შემუშავება ხორციელდება საგნობრივ დეპარტამენტებში გაერთიანებული მასწავლებლების მიერ თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთათვის და მშობელთათვის შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე, ისინი წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.

ევროპულ სკოლაში თითოეული მასწავლებლის მიერ ანალიზდება როგორც დიაგნოსტიკური, ასევე მიმდინარე და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები. დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები საშუალებას აძლევს მასწავლებელს სასწავლო პროცესი დააშენოს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, მიმდინარე შეფასებით დგინდება მოსწავლეთა პროგრესი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით კი მიღწეული შედეგი. მოსწავლეთა ხშირი და მრავალმხივი შეფასებით მიღებული შედეგები განიხილება საგნობრივ დეპარტამენტებში და ერთობლივად შემუშავდება გამოვლენილი პრობლემების დაძლევის გზები, რაც აისახება მასწავლებლის ანგარიშში. შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს მასწავლებელს თითოეული მოსწავლისთვის გასცეს რჩევები და რეკომენდაციები, ასევე პოზიტიური უკუკავშირი.

კომუნიკაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით მშობლები რეგულარულად არიან ინფორმირებულები მოსწავლის აკადემიური მოსწრების, სოციალური აქტივობებისა და დისციპლინის შესახებ. სისტემატურად იმართება ინდივიდუალური შეხვედრები მათთან, სადაც განიხილება მოსწავლის მიღწევები, გამოვლენილი საჭიროებები სკოლისა და კონკრეტული მასწავლებლის მხრიდან შემუშავებული პრობლემების დაძლევის გზები.

მოსწავლის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას, ინფორმაცია მისი აკადემიური მოსწრების, სოციალური აქტივობებისა და დისციპლინის შესახებ გადაეცემა მომდევნო საფეხურის კოორდინატორს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, კლასის დამრიგებელს, რათა საფეხურის მასწავლებლებმა სწორი პედაგოგიური ტაქტიკა შეიმუშაონ თითოეული მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის სწორი წარმართვისთვის.

მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებია

- ახალი თემის/მასალის განხილვამდე, მოხდეს მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და უნარების დიაგნოსტიკა;
- იმის დადგენა, თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა თვითშეფასება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას;
- იმის გარკვევა, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ მოსწავლეები მიღებულ ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

- განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში;
- განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანიები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთ დაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულას (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	

6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.
- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
- V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
- დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

- სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:
 - მიმდინარე საშინაო დავალება;
 - მიმდინარე საკლასო დავალება;
 - შემაჯამებელი დავალება.
- მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
- სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (V კლასის II სემესტრი -XII კლასები), გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).
- ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.
- V კლასის I სემესტრი -VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა

კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება და განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს, ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი).

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, საგნობრივ დეპარტამენტს წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ევროპულ სკოლაში გამოიყენება:

ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

დ) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულა სამი (ორი – საგნის

სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

დ) თუ მოსწავლეს, სხვა სკოლიდან ევროპულ სკოლაში, სემესტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, ევროპულმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ, სხვა სკოლიდან ევროპულ სკოლაში გადმოსვლის გამო, ევროპულ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია,

2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

გამოცდის ტიპები

1.ევროპულ სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:

- ა) სემესტრული გამოცდა;
- ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- გ) საშემოდგომო გამოცდა;
- დ) ექსტერნატის გამოცდა.

2. სემესტრული გამოცდა (არა საგამოცდო საგნებში) ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

3. სემესტრული გამოცდის დანიშნისთვის (არა საგამოცდო საგნებში) მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

4. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

5. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

7. წლიური გამოცდის დანიშნა/არდანიშნის საკითხს წყვეტს სკოლის დირექცია.

8.. სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში.

10. წლიური გამოცდა ინიშნება მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. შესაბამისი ინფორმაცია გამოცდების დანიშნის შესახებ განისაზღვრება სასწავლო წლის დაწყებამდე და ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს.

11. წლიური გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალებები მოიცავს კომპლექსურ კონტექსტს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება.

12. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი იყოფა სამზე.

13. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.

14. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

15. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა უწევს კონსულტაციებს მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას

დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.

17. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

18. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

19. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

20. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

აკადემიური მიღწევების აღიარება

- მაღალი შეფასებები (ქულები 9–დან– 10–მდე) მოუთითებს რომ მოსწავლემ წარმატებით დაასრულა აკადემიური წელი. წესები იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს წარჩინებული მოსწავლეების კიდევ უფრო წახალისება დადგენილია სკოლის სასწავლო გეგმაში.
- თითოეული სემესტრის ბოლოს, მე 8–12 კლასების წარჩინებული მოსწავლეები იღებენ აკადემიურ სტიპენდიებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული წესის საფუძველზე.
- მოსწავლეს, რომლის საერთო შეფასება საშუალო საფეხურზე არის 10 დამრგვალების გარეშე, სკოლა წარადგენს ეროვნული სასწავლო გეგით დაწესებულ ოქროს მედალზე და გადასცემს ევროპული სკოლის მედალს და სერტიფიკატს.
- მოსწავლე, რომლის საერთო შეფასება საშუალო საფეხურზე არის 9,8 ან მეტი სკოლა წარადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით დაწესებულ ვერცხლის მედალზე და გადასცემს ევროპული სკოლის მედალს და სერტიფიკატს.
- მოსწავლე რომელიც წარმატებით დაამთავრებს პროგრამას/პროგრამებს საშუალო საფეხურზე, მაგრამ აკადემიური დაჩქარებით, არ მიღებს ოქროს და ვერცხლის მედალს და არც სერტიფიკატს.

გაცდენები

- მოსწავლეების გაცდენები აღირიცხება ელექტრონულად,
- საგნის მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის გაკვეთილზე დასწრებას. თითოეული საგნის მასწავლებელი ვალდებულია აღრიცხოს დასწრება გაკვეთილის დაწყებისას.
- თუ მოსწავლემ გააცდინა კონკრეტული საგნისთვის დადგენილი საკლასო საათების 30% საბაზო და საშუალო საფეხურზე, ეს მოსწავლე შეფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდებით.
- თუ მოსწავლე აცდენს მისი მონაწილეობის გამო ეროვნულ/საერთაშორისო ათლეტურ და ხელოვნებით ღონისძიებაში, ეროვნულ/საერთაშორისო აკადემიურ ოლიმპიადებში, მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს დირექტორს წერილობითი ფორმით. დირექტორს აქვს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე ვრცელდება თუ არა

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები კონკრეტულ მოსწავლეზე.

შინ სწავლება

- საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლეს აძლევს სახლში სწავლის არჩევანის საშუალებას, როცა მას არ აქვს სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობები, მაგრამ საჭიროებს სამედიცინო მკურნალობას ერთ თვეზე მეტი დროით, რომლის შესახებაც სკოლა იყო ინფორმირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ.
- როდესაც მოსწავლე იწყებს შინ სწავლებას, ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები აღარ ვრცელდება მასზე.
- სკოლა აწესებს განრიგს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უტარდება შესაბამისი მეცადინეობები. შინ სწავლების დროს სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეს მინიმუმ ერთი გაკვეთილით თითო საგანში კვირის მანძილზე (გარდა იმ საგნებისა რომლებიც ეკუთვნის ფიზიკური მომზადების საგნების ჯგუფს);
- შინ სწავლების დროს, რეკომენდირებულია ინტერნეტის და ვიდეო კონფერენციის ფორმის გამოყენება.



IB პროგრამების შეფასების სტრუქტურა

IB პროგრამების (PYP-MYP-DP) შეფასების ძირითადი მიზნებია მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა და სწრაფი უკუკავშირი სწავლის პროცესის შესახებ მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისათვის. შეფასება მიზნად ისახავს დაგეგმვისა და ინსტრუქციის ხელმძღვანელობას. თითოეულ პროგრამაში, არსებობს განსხვავებები შეფასების პროცესში, რათა მოხდეს კონკრეტული ასაკის მოსწავლეების საჭიროებების, განვითარების ეტაპების და მსოფლიოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუმცა, უწყვეტობისა და ერთობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სამივე პროგრამის საერთო შეფასების პრინციპების ნაკრები. ეს პრინციპები მიღებული იქნა ევროპული სკოლის მიერ ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

შეფასების პრაქტიკა:

შეფასების პრაქტიკა შეესაბამება PYP, MYP, DP შეფასების ფილოსოფიას.

PYP

შეფასების სტრუქტურა

წინასწარი შეფასება

მასწავლებლები შეაფასებენ მოსწავლეთა წინასწარ ცოდნას ახალი სასწავლო გამოცდილების მიღებამდე.

განმავითარებელი შეფასება

მიმდინარე განმავითარებელი შეფასება ტარდება სწავლებისა და სწავლის პროცესში. ეს აცნობებს მასწავლებლებს და მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება სწავლა და იძლევა შესაძლებლობას რათა დაიგეგმოს სწავლის შემდგომი ეტაპი.

თვითშეფასება: მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს თავიანთ სწავლაზე და აფასებენ თავიანთ საქმიანობას.

თანატოლთა შეფასება: სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

შემაჯამებელი შეფასება

შეფასება ტარდება სწავლების და სწავლის პროცესის დასასრულს, ის იგეგმება წინასწარ და აძლევს მასწავლებლებს და მოსწავლეებს ნათელ წარმოდგენას მოსწავლის გათვითცნობიერების შესახებ, შეფასება შემუშავებულია ისე, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი ცოდნა აუთენტურ კონტექსტში და გამოიყენონ ის ახალი და მოქნილი გზებით.

შეფასების სტრატეგიები

შეფასების სტრატეგიები გამოიყენება მიდგომების არეალის უზრუნველსაყოფად რათა მისცეს სტუდენტს დაბალანსებული ხედვა.

დაკვირვებები

ყოველ მოსწავლეზე ხორციელდება რეგულარული დაკვირვება, ამავე დროს მასწავლებელი აკეთებს ჩანაწერებს თითოეულ ინდივიდზე, ჯგუფზე და მთელ კლასზე. დაკვირვებები მოიცავს თუ როგორ მუშაობენ ჯგუფები და განსაზღვრავს მათში მონაწილეთა როლს.

პროცესზე ორიენტირებული შეფასებები

დაკვირვება მოსწავლის უნარებისა და გაცნობიერების განვითარებაზე ხორციელდება რეალურ კონტექსტში რეგულარულად, საკონტროლო სიის, ნარატიული შენიშვნების და ინვენტარის (რესურსების) გამოყენებით. აქცენტი კეთდება პროცესზე და გამოყენების უნარზე, ვიდრე პროდუქტზე.

შერჩეული პასუხები

ტარდება ერთჯერადი სავარჯიშოები როგორც წესი ტესტებისა და ქვიზების სახით, რათა გაირკვეს თუ რა იციან მოსწავლეებმა, ან რის გაკეთება შეუძლიათ.

დროში შეუზღუდავი ამოცანები

სტუდენტებს ეძლევათ სტიმული და მოეთხოვებათ რომ გასცენ ორიგინალური პასუხი. დაუშვებელია ორი იდენტური პასუხის არსებობა. ამ გზით შეიძლება ინდივიდუალურად შეფასდეს თითოეული მოსწავლე.

სტუდენტების პორტფოლიოები

მასწავლებლები და მოსწავლეები აწარმოებენ მოსწავლლის სამუშაო პორტფოლიოს რომ მოხდეს აზროვნების, კრეატიულობის, განვითარების და ანალიზის დემონსტრირება აკადემიურ და სოციალურ განვითარებაში დროის მანძილზე.

შეფასების ინსტრუმენტები

შეფასების ინფორმაციის აღრიცხვისთვის გამოიყენება შეფასების შემდეგი ინსტრუმენტები

▪ რუბრიკები

დადგენილი კრიტერიუმების ნაკრები მოსწავლეთა შესაფასებლად ყველა სფეროში. აღწერილობა აცნობებს შემფასებელს თუ რა თვისებებს ან ნიშნებს უნდა ეძებდეს მოსწავლეთა ნაშრომში და გამოიყენოს წინასწარ განსაზღვრული შკალა, რომ შეაფასონ ეს ნამუშევარი. რუბრიკები შეიძლება შეიმუშაონ როგორც მოსწავლეებმა, ისევე მასწავლებლებმა.

▪ დავალების ფურცლები უნდა მოიცავდეს შეფასების კრიტერიუმს რომლითაც უნდა შეფასდეს მოსწავლე

▪ საკონტროლო სია (საკონტროლო მონაცემები).

ინფორმაციის, მონაცემთა, ატრიბუტების ან ელემენტების ჩამინათვალი, რომლებიც უნდა იყოს წარმოდგენილი.

- ნიშნულები / მაგალითები

მოსწავლის მუშაობის ნიმუშები, რომლებიც ასრულებენ კონკრეტული სტანდარტების როლს, რომლის მიხედვითაც ფასდება სხვა ნიმუშები. მასწავლებლები შეიმუშავებენ ნიშნულებს / მაგალითებს

- შემთხვევითი შენიშვნები

მოსწავლეებზე დაკვირვებაზე დაფუძნებული წერილობითი შენიშვნები ეს ჩანაწერები უნდა იყოს სისტემატურად შედგენილი, ორგანიზებული და გაანალიზებული.

- კონტინიუმები

სწავლის განვითარების ეტაპების ვიზუალური წარმოდგენა. ისინი აჩვენებენ მიღწევის პროგრესირებას, ან იმის იდენტიფიცირებას თუ სად არის სტუდენტი ამ პროცესში.

- შეფასების ანგარიშების ფორმატები
- წერილი ანგარიშები
- მშობლის-მასწავლებლის კონფერენციები
- მოსწავლის-მშობლის-მასწავლებლის კონფერენციები (სამ მხრივი კონფერენცია)
- მოსწავლის მიერ გაძღოლილი, კონფერენციები
- ღია დღეები
- გამოფენები
- საინფორმაციო საღამოები/ პრეზენტაციები/ სემინარები

დაწყებითი სკოლის ანგარიშება მშობლების წინაშე

შემდეგი ცხრილი განსაზღვრავს ანგარიშების პერიოდს დაწყებით სკოლაში წლის მანძილზე.

სექტემბერი- მშობელთა-მასწავლებელთა შეხვედრები, რომლებიც განსაზღვრავს სასწავლო გეგმის შესრულების და შეფასების პრაქტიკას;

ოქტომბერი- ღია კარის დღე.

ნოემბერი- მოსწავლეების-მშობლის-მასწავლებლის კონფერენციები (სამ მხრივი კონფერენცია)

დეკემბერი- მოხსენებითი ბარათი რომელიც გაიცემა 1-ლი სემესტრის ბოლოს.

იანვარი- მშობლის-მასწავლებლის კონფერენცია.

აპრილი - მოსწავლის მიერ გაძღოლილი, კონფერენციები.

მაისი-ივნისი - ბოლო მოხსენებითი ბარათი, რომელიც გაიცემა მე-2 სემესტრის ბოლოს.

მოხსენებითი ბარათები - 1-5 კლასები

წერილობითი ანგარიშები მოსწავლის აკადემიურ მოსწრების შესახებ გაიცემა წელიწადში ორჯერ - დეკემბერში და მაისში. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეებს სწავლის შედეგების შესაბამისად ყველა საგანში. კომენტარები იწერება IB მოსწავლის პროფილის ატრიბუტების განვითარებაზე. ანგარიში მოიცავს მოსწავლის თვითანალიზს.

გამოფენა

მეხუთე კლასის გამოფენა ტარდება ყოველწლიურად.

ეს არის ტრანსდისციპლინარული სწავლების შემაჯამებელი შეფასება, სადაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ, რომ მოახდინონ ჩართულობის დემონსტრირება პროგრამის ხუთ ძირითად ელემენტთან: ცოდნა, ცნებები, სწავლებისა და სწავლისადმი მიდგომები, დამოკიდებულება და მოქმედება. მოსწავლეები ერთვებიან თანამშრომლობით სიღრმისეულ გამოკვლევაში, იდენტიფიცირებაში, მოკვლევასა და სთავაზობენ გადაწყვეტის გზებს რეალური ცხოვრების საკითხებს და პრობლემებს და აქვთ საშუალება მოახდინონ მათ მიერ გასულ წლებში ნასწავლის სინთეზირება და გამოყენება. მე-5 კლასის მოსწავლეები უზიარებენ აღნიშნულ გამოფენას სასკოლო საზოგადოებას (იხილეთ 2008 წლის PYP გამოფენის სახელმძღვანელო მითითებები).

დაწყებითი სკოლის პრაქტიკა - შეფასების ჩანაწერები პორტფოლიოები

IB MYP - საერთაშორისო პროგრამის საბაზო საფეხური

შეფასების სტრუქტურა

MYP-ში შეფასების სისტემა სწავლა სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და უზრუნველყოფს უკუკავშირს აზროვნების სტრატეგიებზე, პროცესებსა თუ შედეგებზე, ასევე სტუდენტების ჩართვას თვითშეფასების პროცესში.

MYP მოითხოვს მასწავლებლებისგან, უწყვეტი შეფასების პროცესის ორგანიზებას, თითოეული დისციპლინის მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.

MYP-ის შეფასების პრინციპების შესაბამისად, რეგულარული შიდა შეფასება და ანგარიშგება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტებისა და მშობლების მიერ შეფასების კრიტერიუმების გააზრებასა და შემაჯამებელი შეფასებისთვის მომზადებისათვის.

MYP-ში შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების მოდელი ხელს უწყობს მასწავლებლებს მრავალფეროვანი დავალებებისა თუ ამოცანების შემუშავებაში, რაც თავის მხრივ, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ საკუთარი მიღწევების დემონსტრირება თითოეული დისციპლინის მიზნების შესაბამისად. მიღწევები შესაძლოა მოიცავდეს როგორც შესრულებულ კვლევებს, ორგანიზებულ დებატებს, ტესტებს, საგამოცდო დავალებებს, პრაქტიკულ ექსპერიმენტებს, ანალიზსა და დავალებათა სხვა ფორმებს (უფრო მეტი MYP-ის შეფასების კრიტერიუმის გამოყენებისათვის იხ. დანართი C)

რა არის კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება?

- მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება ფასდება დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კრიტერიუმებით და შეფასებისას---- მოსწავლის ნაშრომის შედარება სხვა მოსწავლის ნაშრომთან არ ხორციელდება.

- თითოეული დისციპლინის ფარგლებში, შესრულებული დავალებები, ოთხი სხვადასხვა მიმართულების განსხვავებული კრიტერიუმით ფასდება.

- მასწავლებელი დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს და კრიტერიუმებს.

MYP-ში სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისას, მასწავლებლები აწარმოებენ მონიტორინგს სტუდენტთა მიღწევათა და პროგრესის შესახებ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციებს/მონაცემებს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების შეფასების შესახებ, აანალიზებენ მიღებულ ინფორმაციებს და იყენებენ სხვადასხვა მტკიცებულებებს, რაც დაეხმარება თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის გამოვლენასა და უკეთესი შედეგების მიღწევაში.

მოსწავლეთა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ელემენტებია.

MYP-ში შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მიღწევის მტკიცებულებას საგანთა ჯგუფის საჭირო შეფასების კრიტერიუმის გამოყენებით.

შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ IB შეფასების ფორმები და დაეყრდნონ მოლოდინებს, იმისთვის რომ დაეხმარონ მოსწავლეებს შედეგების გააუმჯობესებაში თანმიმდევრული, დროული და მნიშვნელოვანი უკუკავშირის მეშვეობით.

მოსწავლეების უზრუნველყოფა ხდება შეფასების კრიტერიუმებით. დავალების-სპეციფიური მოთხოვნები ეხმარება მოსწავლეს გაიგოს, თუ რა არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ გააცნობიეროს მისაღწევი მიზნები სამუშაოს დაწყებამდე.

მოსწავლეები იღებენ უკუკავშირის შესრულებული დავალებების შესახებ შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით (MYP- ის შეფასების სახელმძღვანელო).

განმავითარებელი შეფასება ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთათვის, მასწავლებელთათვის და მშობლებისთვის უკუკავშირის მიწოდებაზე მოსწავლის პროგრესის შესახებ, სწავლის მიზნების მიღწევისა და უნარების განსავითარებლად. არ შეიძლება განმავითარებელი შეფასების შედეგების გამოყენება იმისთვის, რომ გამოითვალოს მოსწავლის სემესტრის საბოლოო მიღწევის დონე. მასწავლებლებს შეუძლიათ აირჩიონ განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება სხვადასხვა გზით, მათ შორის ინდივიდუალური კონფერენციებით, წერილობითი კომენტარებით და თანატოლთა ურთიერთშეფასებით.

გარდა ამისა, PYP / MYP / DP მასწავლებლები უზრუნველყოფენ უკუკავშირის ManageBac-ზე მოლოდინების შკალის გამოყენებით რადგანაც განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება შეიძლება იყოს სიახლე, სკოლის საზოგადოების ნაწილისთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ საშუალება მიიღონ მეტი ინფორმაცია შეფასების ტიპებსა და ფორმებზე.

IB -ის პროგრამები (PYP/MYP/DP) აცნობს სტუდენტებს თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებსა თუ რუბრიკებზე ManageBac-ის, მოსწავლეების-მშობლების-მასწავლებლების კონფერენციების, ელექტრონული ფოსტისა თუ ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით. ასევე პროგრამის კოორდინატორები უზრუნველყოფენ საინფორმაციო სესიებს დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლის შეფასების პოლიტიკა, ევროპული სკოლის აკადემიური პოლიტიკა, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, ევროპული სკოლის ინკლუზიური განათლების პოლიტიკა, სტუდენტისთვის სახელმძღვანელო პრინციპებია და ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისთვის ევროპული

სკოლის ვებ-გვერდზე.

შეფასების სტრატეგიები

დაკვირვება

მასწავლებლები ირჩევენ დაკვირვების ფორმებს სწავლა-სწავლების პროცესში---ფოკუსირება ერთ მოსწავლეზე ან ერთ აქტივობაზე.

შერჩეული პასუხი

ტესტები და ქვიზები გამოიყენება ასეთი ტიპის შეფასებისთვის. დავალები შერჩეული პასუხებით მასწავლებელს საშუალებას აძლევს ზოგადი ან კონკრეტული ხასიათის შეკითხვები დასმის, რათა მოსწავლისგან მიიღოს ისეთი პასუხები, რომლებიც მოსწავლის გათვითცნობიერებას, ან შესაძლოა მოსწავლის გაუთვითცნობიერებაზეც კი მიუთითებდეს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს მცისიერ უკუკავშირს მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის.

MYP შეფასების მოდელი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ ისეთი დავალები, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს მოახდინონ სკოლაში მიღებული ცოდნის, გამომუშავებული უნარებისა და ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების დემონსტრირებისა რეალურ სამყაროში.

მასწავლებლის მიერ შემუშავებულმა მრავალფეროვანმა დავალებებმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. შესრასრულებელი დავალებები შესაძლოა მოიცავდეს, როგორც კვლევის ანგარიშის მომზადებას, ასევე პრეზენტაციის შექმნას, თუ სხვა ფორმის დავალების შესრულებას.

პროცესის ჟურნალები

MYP-ში ანალიზის უნარის განვითარება პრიორიტეტულია ეფექტიანი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. პროგრამა ორიენტირებულია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე, როგორცაა ანალიზისა და კონცეპტუალური ცნობიერების უნარი. სტუდენტის ანალიზის უნარი და მეტაკოგნიცია ამ პროცესის არსებით ასპექტებს წარმოადგენს.

ATL-ის გამოყენებით ყველა მასწავლებელი პასუხისმგებელია მოსწავლის აქტიურ ჩართვაზე სასწავლო პროცესში.

პორტფოლიოს შეფასება

მოსწავლეთა პორტფოლიოები შეიძლება გამოყენებული იქნას მოსწავლეთა მიღწევების შესამოწმებლად. პორტფოლიოთი შეფასება ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სტუდენტების ჩასართავად, საკუთარი სწავლის ორგანიზებასა და შეფასებაში.

შეფასების შედეგების გამოყენება

ანგარიშგების ფორმატი

IB DP - სადიპლომო პროგრამა

ევროპული სკოლის სადიპლომო პროგრამა სტუდენტების შეფასების პროცედურების მხრივ სრულ შესაბამისობაშია IB სტანდარტებთან. შეფასების პროცესი მოიცავს სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებებს. შეფასების ობიექტი შესაძლებელია იყოს სტუდენტების მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალება, როგორცაა – ტესტი, ზეპირი დავალება, გამოცდა, საშინაო დავალება, ესე და ა.შ. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა(სასკოლო), ისე გარე (საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზებული გამომცდელების მიერ შეფასებულ) კომპონენტებს. კურსის შემაჯამებელი ზოგიერთ დავალება ფასდება მასწავლებლის მიერ და შემდეგ მოწმდება გარე გამომცდელის მიერ. შესაფასებელი კომპონენტის შესრულების ხანგძლივობა არის განსხვავებული – ის შეიძლება განხორციელდეს ერთი საათზე ნაკლებ დროში, ან გრძელი დროის მონაკვეთში. შეფასების მიზანია არა მხოლოდ ნიშნებით შეფასება, არამედ შესრულებული დავალების ანალიზიც. შეფასება ორი ძირითადი სახისაა – განმავითარებელი და შემაჯამებელი. ორივე სახეობა გამოიყენება სრული კურსის განმავლობაში. შესაფასებელი დავალებების სიხშირეს განსაზღვრავს საგნის პედაგოგი. შემაჯამებელი შეფასება ტარდება მხოლოდ სასწავლო გეგმის მსხვილი ქვე-ერთეულის და ერთეულის დასრულების შემდეგ.

შეფასების კრიტერიუმები საერთაშორისო ბაკალავრიატის სტანდარტული სქმის და რუბრიკების თანხვედრილია.

შეფასების კრიტერიუმები შერჩეულია გულდასმით, რათასრულად დაფარონ განათლების ხელშეწყობის და განვითარების. მათ უნდა აღწერონ ს ცოდნის არსებული დონე. კრიტერიუმები უნდა იყოს საგნის ან პროგრამის სპეციფიურობის შესაბამისი და გზამკვლევი.

რადგანაც სადიპლომო პროგრამის კურსებს აქვთ უნიკალური შეფასების კრიტერიუმები და მნიშვნელობა, DP მასწავლებლები თავიანთი კურსის აღწერაში ანთავსებენ ინფორმაციას შემაჯამებელი შეფასების მოთხოვნების შესახებ. გამასწავლებლები იყენებენ შემაჯამებელ შეფასებებს, რათა მიანიჭონ სტუდენტს შესაბამისი ნიშანი სემესტრის ან სასწავლო წლის დასრულების დროს.

შეფასების პრინციპები და პრაქტიკა

შეფასების სქემის არსებობა მნიშვნელოვანია ნამუშევრის შეფასების კვალიფიკაციისათვის, ნიშნების და ქულების მინიჭების სამართლიანი და ყველასთვის ერთგვაროვანი პრინციპების განსახორციელებლად. ისინი გამომდინარეობენ საერთაშორისო ბაკალავრიატის ფილოსოფიიდან. უმთავრესი პრინციპი განათლების ხელშეწყობა და მისის მიზნების დამახინჯების თავიდან აცილებაა.

შეფასების პრინციპების განხორციელება არის გზა, რომლითაც ვახდენთ ჩვენი ღირებულებების მიწოდებას გააზრებული და პრაქტიკული გზით. ისინი ითვალისწინებენ მუშაობის წინააღმდეგობრივ მოთხოვნებს და პრაქტიკულ შეზღუდვებს მსოფლიოში IB-ს ფილოსოფიას შენარჩუნებით..

ევროპული სკოლა იზიარებს სწავლების, სწავლის და შეფასების დამოუკიდებლობის პრინციპს.

შეფასების ფილოსოფიის გლობალური შინაარსი ევროპულ სკოლაში აისახება ჩვენი მოსწავლეების სხვადასხვა კულტურულ წარმომავლობასა და გამოცდილებაში, მათი სწავლის უნარებსა და მოლოდინებში განმავითარებელი და დადებითი უკუკავშირის მიღების საჭიროებაში.

სადიპლომო პროგრამის შეფასების ძირითადი მოთხოვნები

- DP მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ექვსი საგანი, გარდა ამისა დაძლიონ სამი ძირეული კომპონენტი —EE, TOK და CAS. საგნობრივი შეფასების პირობების გარდა, მათ უნდა დააგროვონ არანაკლებ 24 ქულისა, IB დიპლომი გაიცემა DP- ის ყველა ნაწილის შესრულების გათვალისწინებით.
- ყველა საგანი ფასდება 1–დან – 7– ქულამდე, სადაც 7 არის უმაღლესი შეფასება.

შეფასებები

თითოეული საგნის შესრულება ფასდება შკალით 7–დან (მაქსიმალური) 1–მდე (მინიმალური). ცოდნის თეორიისა და გავრცობილი ესეების შესრულება ინტეგრირებულად ფასდება შკალით A–დან (მაქსიმალური) E–მდე (მინიმალური). CAS–ის მოთხოვნა არ ფასდება. IB დიპლომისთვის, ცოდნის თეორიისა და გავრცობილი ესეების კომბინირებულ შესრულებას ენიჭება მაქსიმუმ 3 ქულა. DP ქულების მაქსიმალური ჯამი არის 45.

ქულა	აღწერა
7	მაღალი
6	ძალიან კარგი
5	კარგი
4	დამაკმაყოფილებელი
3	სუსტი
2	ცუდი
1	ძალიან ცუდი

ToK/EE	A	B	C	D	E
A	3	3	2	2	Failing condition
B	3	2	2	1	
C	2	2	1	0	
D	2	1	0	0	
E	Failing condition				

დამატებითი მოთხოვნები

დიპლომის მინიჭების დამატებითი მოთხოვნები:

- დაკმაყოფილდა CAS-ის მოთხოვნები;
- “N”-შეფასება არ იყო მინიჭებული TOK-ში, EE-ში და რომელიმე საგანობრივ კომპონენტში;
- “E”-შეფასება არ იყო მინიჭებული TOK-ში და/ან EE-ში;
- “1”-შეფასება არ იყო მინიჭებული საგანში/დონეში;
- მინიჭებული იყო არაუმეტეს ორი ორიანისა (სტანდარტულ ან მაღალ დონეში);
- მინიჭებული იყო არაუმეტეს სამი სამიანისა ან უფრო დაბალი ნიშნისა (სტანდარტულ ან მაღალ დონეში);
- კანდიდატმა მიიღო 12 ან მეტი ქულა მაღალი დონის საგნებში. (კანდიდატებისთვის რომლებიც დარეგისტრირდებიან ოთხ მაღალი დონის საგანზე, ჩაითვლება სამი უმაღლესი შეფასება);
- კანდიდატმა მიიღო 9 ან მეტი ქულა სტანდარტული დონის საგნებში. (კანდიდატებმა რომლებიც დარეგისტრირდებიან ორ სტანდარტული დონის საგანზე უნდა მიიღონ მინიმუმ 5 ქულა თითოეულში);
- კანდიდატი საბოლოო დაშედეგების მინიჭების კომიტეტისმიერ არ დასჯილა აკადემიური გადაცდომისთვის.

თუ მოსწავლის ქულები 4 -ზე დაბალია, რაც ითვლება მინიმალურ მოთხოვნად მოსწავლის მიერ გარე გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის, გან ამ რისკის შესახებ ეცნობება მოსწავლის მშობლებს. სადიპლომო პროგრამის კოორდინატორი და საგნის მასწავლებელი მოსწავლესთან ნიშნავენ მიზნობრივ გასაუბრებას ან საკონსულტაციო შეხვედრას იმ მიზნით რომ მას მისცენ რჩევა სწავლის მეთოდების და მიდგომის შეცვლის და შესრულების გაუმჯობესების მიზნით.

გამოცდები

- 11 კლასის გამოცდები არის სემესტრული. წლის ბოლო გამოცდები მოიცავენ აკადემიური წლის მანძილზე გავლილ საგნობრივი გეგმის ყველაერთეულს.
- 12 კლასის გამოცდები ტარდება მარტში როგორც იმიტირებული გამოცდები. იმიტირებულ გამოცდები მოიცავენ მე-11 და მე-12 კლასებში გავლილ ყველა ერთეულს.
- გამოცდები ტარდება სტანდარტული IB დამამთავრებელი გამოცდების პროცედურების და წესების შესაბამისად.
- საგამოცდო საკითხების კრებულები მზადდება და ფასდება ევროპული სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის საგნის მასწავლებლების მიერ.
- საგნის მასწავლებლები სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებს გასაგებად აცნობებენ შეფასების ზღვრებსა და შეფასების პროცედურებს.
- დაწერილი საგამოცდო ნაშრომები ინახება DP ოფისის არქივში მოსწავლის მიერ სკოლის დამთავრებამდე.

იმიტირებული გამოცდები

იმისათვის რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს მოემზადონ რეალური IB გამოცდებისთვის აპრილ/მაისში, სკოლა აძლევს შესაძლებლობას მე-12 კლასის მოსწავლეებს ჩააბარონ პრაქტიკული გამოცდა ყველა კურსში რომელზეც დარეგისტრირებული არიან.

იმიტირებულ გამოცდები დაეხმარება მოსწავლეებს გაიგონ რა მიმართულებით საჭიროებენ გაუმჯობესებას. მათ შეიძლება ასევე მოგვცენ მინიშნება იმაზე თუ როგორი იქნება მოსწავლის შედეგი დამამთავრებელ გამოცდებზე.

მე-12 კლასის მოსწავლეებს აქვთ სრული იმიტირებული გამოცდები მარტში.

ეს გამოცდები არის IB საბოლოო გამოცდების ანალოგიური და ფასდება შესაბამისად.

IB გამოსაშვები გამოცდები ევროპულ სკოლაში

- მოსწავლეები სკოლაში უნდა გამოცხადდნენ გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 30 წუთით ადრე.
- მოსწავლეები შედიან საგამოცდო ოთახში გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გადამკვირვებლის მითითების და სხდებიან განლაგების გეგმის შესაბამისად.
- იმის მერე რაც ის შევა საგამოცდო ოთახში, მოსწავლეებს არ აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაციის უფლება
- მოსწავლეებს ელექტრონული ფოსტით და საინფორმაციო დაფით წინასწარ ეცნობებათ გამოცდების ჩატარების წესები, გამოცდის სესიისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთების და ყველა შესაბამისი დეტალების შესახებ, რომელიც მოცემულია საგამოცდო სესიის მომზადების წესებში.

ევროპული სკოლის მიერ შეთავაზებული DP კურსის აღწერა

ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	ჯგუფი 5	ჯგუფი 6
ინგლისური ლიტერატურა (SL/HL)	ინგლისური B (SL/HL)	ბიზნეს მენეჯმენტი (SL/HL)	ბიოლოგია (SL/HL)	მათემატიკა: გამოყენება და ინტერპრეტაცია (SL)	ვიზუალური ხელოვნება (SL / HL)
ქართული ლიტერატურა (SL / HL)	ესპანური ab initio (SL)	ეკონომიკა (SL/HL)	ქიმია (SL/HL)	მათემატიკა: ანალიზი და მიდგომები (SL/HL)	
სპარსული ლიტერატურა (SL / HL)		გეოგრაფია (SL/HL)	კომპიუტერული მეცნიერება (SL / HL)		

რუსული ლიტერატურა (SL/HL)		ისტორია (SL/HL)	ფიზიკა (SL/HL)		
---------------------------	--	-----------------	----------------	--	--

სკოლის მიერ უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი კურსი ლიტერატურაში (SL) *		ფსიქოლოგია (SL/HL)			
--	--	--------------------	--	--	--

* იმ მოსწავლეებისთვის რომელთათვისაც ინგლისური არ არის პირველი ენა, სკოლას აქვს სკოლის მიერ უზრუნველყოფილი თვითმესწავლის პროგრამა (მხოლოდ SL-ში), ამ შემთხვევაში მოსწავლე გამოიყენებს მასწავლებლის დახმარებას რომ დააკმაყოფილოს დიპლომის ამ ნაწილის მოთხოვნები თავის მშობლიურ ენაზე. მოსწავლეებს, ვისაც არ ყავთ დადასტურებული კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, ეძლევათ რეკომენდაცია არ აირჩიონ ეს ვარიანტი.

კურსების შეფასების დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი D.

კარიერული პროგრამა

კარიერული პროგრამის მიზნები

კარიერული პროგრამა (Career-related Programme – CP) წარმოადგენს საგანმანათლებლო ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ბაკალავრიატის (International Baccalaureate – IB) მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და გლობალურობისკენ სწრაფვას, კარიერაზე ფოკუსირებულ გზებთან. ეს საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მოსწავლეთა შესაძლებლობები პროფესიულ განათლებაში IB-ს უნიკალური სწავლების გამოცდილებით.

CP დაფუძნებულია IB-ს საგანმანათლებლო პრინციპებზე, მისიაზე და მოსწავლის პროფილზე, რის საშუალებითაც ის ქმნის ახალ შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის, ჰქონდეთ წვდომა ფოკუსირებულ და მოქნილ განათლებაზე, რომელიც მისცემს მათ დღეისათვის საჭირო ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს და შანსს, მოერგონ მომავლის გლობალურ სამუშაო გარემოს. CP მოიცავს ადგილობრივად განვითარებულ პროფესიულ კურსებს, ძლიერი აკადემიური პროგრამით, რომელიც ხელს უწყობს მრავალენობრიობას, გლობალურ ჩართულობას და კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარებას.

შეფასების შედეგების ვალიდურობის დადგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ზუსტად ვიცით, რა მიზანი აქვს კურსსა და პროგრამას. ამიტომ, სექციას დავიწყებთ პროგრამის მიზნების აღწერით.

CP-ს უნიკალური მახასიათებელია მოსწავლეების მხარდაჭერა კარიერისათვის მზაობის გზაზე, რა პროფესიაც არ უნდა აირჩიონ მათ. კურსი უზრუნველყოფს მათი ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე საჭირო უნარებს შესძენს მათ და დაეხმარება დასაქმებაში.

პროგრამა ეხმარება მოსწავლეს:

- განივითაროს სამსახურთან დაკავშირებული კომპეტენციები და გაიღრმავოს კონკრეტული სფეროების ცოდნა სადიპლომო პროგრამის კურსების საშუალებით;
- განივითაროს მოქნილი სტრატეგიები ცოდნის ასათვისებლად და გასაღრმავებლად სხვადასხვა კონტექსტში;
- მოამზადოს ეფექტური მონაწილეობისთვის სამსახურის ცვალებად გარემოში;
- შეიქმნას ისეთი ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც ჩამოუყალიბებს მას ცხოვრების მანძილზე სწავლის უნარს, ახალი პერსპექტივების გააზრების საშუალებას და საკუთარი უნარების განვითარების მეთოდებზე წარმოდგენას, რასაც პოზიტიური ცვლილებები მოჰყვება.

შეფასების მოდელებისა და კურიკულუმის შედგენისას, ჩვენი მიზანია, რომ კარიერული პროგრამის ქულები და სერთიფიკატი გამოიყენებოდეს:

- დასაქმებისას და პრაქტიკოსად არჩევის პროცესისას;
- მომდევნო განათლების პროცესისათვის შერჩევისას;
- უნივერსიტეტში ჩაბარების პროცესისთვის;
- იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა მოსწავლე უნივერსიტეტის პროგრამის მოთხოვნებს (დამატებითი კრედიტისთვის ან კონკრეტული კურსის/საგნის გამოსატოვებლად).

თუ კანდიდატს უკვე ჩაბარებული აქვს კონკრეტული ენის გამოცდა და შეუძლია ამის დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა, მათ შეუძლიათ საგნის ან პროფესიის ამ ენაზე სწავლების გაგრძელება.

ძირითადი საგნები და თვითშეფასების პროექტი

ძირითადი საგნები კონტექსტუალიზებულია DP-ს კურსებში და პროფესიულ კურსებში. ისინი გვაძლევს საშუალებას, სწავლების სხვადასხვა ასპექტები ერმანეთს დავუკავშიროთ. სავალდებულოა საფუძველი ოთხი ელემენტის დახურვა:

- პერსონალური და პროფესიული უნარები
- საზოგადოებრივი ჩართულობა
- უცხო ენის შესწავლა (English B, Spanish ab initio)
- თვითშეფასების პროექტი პროექტი

თვითშეფასების პროექტს მასწავლებელი აფასებს და პროცესის მოდერაცია IB-ს მიერ ხდება. სხვა ელემენტებისთვის, სკოლამ უნდა დაამოწმოს IB-სთან, რომ მოსწავლემ წარმატებით შეასრულა დავალებები, მაგრამ IB-ს მიერ შეფასების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოდერაცია არ არის საჭირო.

თითოეული მოსწავლე მინიმუმ ორ საგანს იღებს, რომელიც საერთოა DP-სთან. ეს CP კანდიდატები იმავე სახით ფასდებიან, როგორც DP კანდიდატები. ცალკე გამოცდა CP-ს მოსწავლეებისთვის არ ტარდება.

კანდიდატი ვერ დარეგისტრირდება ერთდროულად DP-ს და CP-ს პროგრამებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საგნები საერთოა. პროგრამების მოთხოვნები შეუძლებელს ხდის მათ ერთდროულად დასრულებას.

კარიერაზე ორიენტირებული საგანი (Career-related study - CRS)

IB არ აფასებს და არ უწევს ხარისხის კონტროლს CP-ს კარიერული სწავლების ნაწილს. ერთადერთი მოთხოვნაა, რომ სკოლამ დაამოწმოს, რომ მოსწავლემ ეს მოთხოვნა შეასრულა. IB დიპლომის კურსების დასრულება არ იძლევა პროფესიის სწავლების დასრულების ჩათვლას CP-სთვის.

ევროპული სკოლის IB CP მოსწავლეებს სთავაზობს ორ CRS-ს:

- გამოყენებითი მეცნიერებები
- ინფორმაციული ტექნოლოგიები

CRS მიჰყვება Pearson BTEC საერთაშორისო დონე 3-ის კურიკულუმს. შეფასების გეგმები გამოყენებულია ხარისხიანი განათლების და სამართლიანი და თანაბარი გარემოს შექმნისთვის.

როგორც მინიმალური მოთხოვნა, შეფასების გეგმა უნდა მოიცავდეს:

- შემფასებლის და შიდა დამმოწმებლის სახელებს;
- დავალების მიცემის და ჩაბარების ვადებს
- შეფასების ვადებს
- შიდა დამმოწმების ვადებს
- დავალების ხელმოწერა ჩაბარების შესაძლებლობის ვადებს
- გარე შეფასების ვადებს, რომ ჩანდეს სრული პროგრამის გეგმა

პროგრამებისთვის, სადაც თემები წარმატებითაა ინტეგრირებული, შეფასების გეგმა უნდა მოიცავდეს შეფასების კრიტერიუმებს თითოეული გეგმისთვის.

შიდა დამოწმება

შიდა დამოწმება არის ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომა, რომელიც გამოიყენება შეფასების პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების მონიტორინგისთვის.

კარგი შიდა დამოწმება უზრუნველყოფს, რომ:

- დავალების პირობა მიზანს შეესაბამება,
- შეფასების გადაწყვეტილებები შეუსაბამებს მოსწავლის მტკიცებულებებს სწავლის კრიტერიუმებს და შეფასების გზამკვლევს;
- შემფასებლებს შეუძლიათ სტანდარტიზებულად, კონსისტენტურად შეაფასონ დავალება პროგრამის ფარგლებში.

შეფასებამდე, შემფასებელი უნდა დარწმუნდეს რომ თითოეულ მოსწავლეს ესმის:

- შეფასების მოთხოვნები;
- მტკიცებულების ბუნება, რომელიც უნდა წარადგინოს;
- დროის მენეჯმენტის და ჩაბარების ვადების დაცვის მნიშვნელობა, რაც მოიცავს დაგვიანების შედეგებს;
- ავთენტური ნაშრომის ჩაბარების მნიშვნელოვნება.

CRS შეფასება

BTEC საერთაშორისო დონე 3-ის კვალიფიკაციები ფასდება შიდა შეფასებების კომბინაციით, რომლებიც დადგინდება და შემოწმდება მასწავლებლების მიერ და Pearson-ის მიერ ჩამოყალიბებული დავალებებით, რომლებსაც ადგენს Pearson და ამოწმებს მასწავლებელი.

- სავალდებულო თემებს აქვთ შიდა და Pearson-ის მიერ ჩამოყალიბებული დავალებების კომბინაცია;
- არჩევითი თემები შიდა შეფასებით ფასდება.

დავალებები იგეგმება ისე, რომ მოსწავლემ გამოავლინოს სწავლება პროგრამის ფარგლებში. ჩვენ ვითვალისწინებთ საჭირო დროს სწავლებისთვის და სწავლისთვის, განსაზღვრული შეფასებისთვის და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებისთვის.

BTEC-ის პრინციპები შიდა შეფასებისთვის

შეფასება დავალებების მეშვეობით

ყველა თემისთვის, შეფასება ხდება დავალებით, თემის დასრულების შემდეგ ან რამდენიმე დავალებით, თემის მსვლელობისას. დავალებას შეიძლება მრავალი სახე ჰქონდეს, მათ შორის პრაქტიკული ან წერიტი ტიპის. დავალება არის ცალკეული აქტივობა, რომელსაც მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ და დგას ცალკე სწავლების, პრაქტიკის, გამორკვევის ან სხვა აქტივობებისგან, რომლებსაც მოსწავლეები მასწავლებლის ინსტრუქციით ასრულებენ.

დავალება მიეცემა მოსწავლეებს კონკრეტული პირობის სახით, რომელშიც განსაზღვრულია დაწყების და დასრულების ვადები და მოცემულია ნათელი მოთხოვნები იმ მტკიცებულებებისთვის, რომელიც მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს. დავალებები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ ნაწილებს და ითხოვდეს რამდენიმე მტკიცებულებას.

ვალიდური დავალება ნათელია და იძლევა ფორმალური შეფასების შედეგს, რომელიც ეყრდნობა შეფასების კრიტერიუმებს. უმეტესობა თემისთვის მასწავლებელი ქმნის დავალებას. Pearson-ის მიერ შექმნილი დავალების ქვეთავებისთვის, დავალებას Pearson ქმნის.

დავალების შეფასება ქვეთავებზე დაფუძნებული კრიტერიუმების გამოყენებით

შეფასების გადაწყვეტილებები BTEC-ის საერთაშორისო დონე 3-ის კვალიფიკაციებისთვის ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებს თითოეულ ქვეთავში და მოცემულია კონკრეტული ქულისთვის. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, რომ სტანდარტები კონსისტენტურია კვალიფიკაციის ფარგლებში, თითოეული ქვეთავის კრიტერიუმები ეფუძნება ჩარჩოს. ცალკეული ქვეთავები ისეა დაწერილი, რომ აბალანსებდეს გაგებას, პრაქტიკულ უნარებს და პროფესიულ ატრიბუტებს, რომლებიც საჭიროა კვალიფიკაციისთვის.

შეფასების კრიტერიუმები ქვეთავისთვის იერარქიული და ჰოლისტურია. მაგალითად, თუ M კრიტერიუმი მოსწავლისგან მოითხოვს ანალიზის ჩვენებას და შესაბამისი P კრიტერიუმი მოითხოვს რაიმეს ახსნას, M კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად მოსწავლეს მოუწევს ახსნაც აჩვენოს და ანალიზიც. შეფასების ცხრილი აჩვენებს კავშირებს კრიტერიუმებს შორის, რომ ყველა შემფასებელმა შეძლოს მოსწავლის ერთდროულად შეფასება ყველა კრიტერიუმში. შემფასებელმა უნდა აჩვენოს, როგორ მივიდა შეფასების გადაწყვეტილებამდე კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეფასების მოხსენებაში იწერება. როდესაც მოსწავლე ყველა შეფასებას დაასრულებს ქვეთავში, შეფასების გუნდი დაწერს ქვეთავის ქულას, რომელიც ეფუძნება უმაღლეს დონეს, რომელსაც მოსწავლემ მიაღწია. შესაბამისად:

- Distinction-ის მისაღწევად, მოსწავლემ უნდა დაფაროს გამორჩეულობის ყველა კრიტერიუმი (და შესაბამისად, Pass და Merit კრიტერიუმები); ეს ნიშნავს გამორჩეულ შესრულებას

მთელი ქვეთავის განმავლობაში.

- Merit-ის მისაღწევად, მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი კრიტერიუმები (და Pass კრიტერიუმები) მაღალი დონის შესრულებით თითოეულ სასწავლო მიზანში.

- Pass-ის მისაღწევად, მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს ჩაბარების კრიტერიუმები სწავლების მიზნებისთვის და დონე 3-ის კვალიფიკაციისთვის.

ჩაბარების დონის მინიჭება დამოკიდებულია შესრულებაზე და არ გაიცემა მხოლოდ დავალების შესრულებისთვის. მოსწავლეები, რომლებსაც ეს დონე არ აქვთ მიღწეული, უნდა აღირიცხონ როგორც არაკლასიფიცირებულნი.

BTEC შეფასების გუნდი

მნიშვნელოვანია არსებობდეს შიდა შეფასების ეფექტური გუნდი. არსებობს სამი ძირითადი როლი, რომელიც შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებით. როლები ქვემოთაა ჩამოთვლილი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ *Pearson International Quality Assurance Handbook*.

- წამყვანი შიდა დამმოწმებელი (The Lead Internal Verifier - The Lead IV), რომლის მთავარი მოვალეობაა მონაცემთა შენახვა და კავშირის დამყარება სტანდარტების დამმოწმებელთან, რომ დადგინდეს მოთხოვნებთან შესაბამისობა. Lead IV ყოველწლიურად რეგისტრირდება Pearson-თან და მოქმედებს როგორც შემფასებელი, დამხმარე და სტანდარტიზატორი დანარჩენი გუნდისთვის. ის რწმუნდება, რომ ყველა შემფასებელს აქვს საჭირო ინფორმაცია შეფასების მოთხოვნებთან მიმართებაში, აორგანიზებს ტრენინგებს და იყენებს Pearson სტანდარტიზაციის გზამკვლევ მასალებს.

- შიდა დამმოწმებლები (internal verifiers – IVs) ამოწმებენ შეფასების აქტივობებს Lead IV-სთან. ისინი ამოწმებენ, რომ დავალებები და შეფასების გადაწყვეტილებები ვალიდურია და შეესაბამება მოთხოვნებს. IV-ები ხშირად თავადაც არიან შემფასებლები, მაგრამ არ ამოწმებენ საკუთარ დავალებებს.

- შემფასებლები ამზადებენ ან იყენებენ დავალებებს მოსწავლეების შესაბამისად. შეფასების გადაწყვეტილების მიღებამდე ისინი მონაწილეობენ სტანდარტიზების აქტივობებში, რომლებსაც გეგმავს Lead IV. ისინი მუშაობენ ზემო ორი როლის წარმომადგენლებთან, რომ დარწმუნდნენ, რომ შეფასება დაგეგმილია და მიმდინარეობს მოთხოვნების მიხედვით.

კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება

შემფასებლები გადაწყვეტილებებს კრიტერიუმებზე დაყრდნობით იღებენ. მოსწავლის მტკიცებულება შეიძლება შეფასდეს ყველა რელევანტური კრიტერიუმის გათვალისწინებით ერთდროულად. შემფასებელმა უნდა გადაწყვიტოს, თითოეულ კტირეტიუმთან მიმართებაში, არის თუ არა მტკიცებულება საკმარისი და ყოვლისმომცველი. მაგალითად, შეჯამების სექციის არსებობა შეიძლება არ იყოს საკმარისი „შეფასების“ კრიტერიუმის მოთხოვნებისთვის.

შემფასებლებმა უნდა გამოიყენონ შემდგომი ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღებისას:

- *Essential information for assessment decisions* სექცია თითოეული ქვეთავისთვის,

რომელიც იძლევა მაგალითებს და განმარტებებს კრიტერიუმებისთვის;

- *Appendix 3: Glossary of terms used*, სადაც მოცემულია ძირითადი ტერმინების განმარტებები;

- Pearson-ის მიერ მოცემული შეფასების ნიმუშები

- Lead IV-ს და შეფასების გუნდის გამოცდილება, რომელსაც მხარს უჭერს სტანდარტიზაციის მასალები.

ჩაბარების და ხარისხიანი შესრულების კრიტერიუმები ინდივიდუალურ მიზნებს ეხება. გამორჩეულობის კტირეტიუმი ეხება ყველა მტკიცებულებას ქვეთავის ფარგლებში. შესაბამისად, კტირეტიუმი შეიძლება ეხებოდეს ერთზე მეტ მიზანს (მაგ. A.D1) ან სხვადასხვა მიზნებს (მაგ. DE.D3). გამორჩეულობის კრიტერიუმი იძლევა იმის დამოწმების საშუალებას, რომ მოსწავლეს შეუძლია კონსისტენტურად მაღალ დონეზე შეასრულოს დავალებები ან/და შეუძლია სწავლება გადაიტანოს სხვადასხვა მიზნების შესრულებისთვის.

შიდა შეფასება

ყველა ქვეთავი ფასდება შიდა შეფასებით და ექვემდებარება გარე სტანდარტებით დამოწმებას. აუცილებელია მოცემული იყოს შესაფერისი შეფასების მეთოდები თემატიკისთვის. ეს გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რომ გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები ტრანსფერული უნარების ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლეს შეიძლება მიეცეს საშუალება, რომ:

- აღწეროს საკუთარი მიგნებები წერილობით;
- გამოიყენოს შემთხვევის შესწავლის მეთოდი კომპლექსური სიტუაციების აღსაწერად;
- ჩაატაროს პროექტი, სადაც აირჩევს მიზანს და შედეგებს;
- წარმოაჩინოს პრაქტიკული და ტექნიკური უნარები კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებისას და სხვ.

შეფასების გადაწყვეტილებები ეფუძნება მოთხოვნებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც მოცემულია ქვეთავებში. მოსწავლეებს არ შეუძლიათ განმეორებით წარმოადგინონ მტკიცებულებები.

ყველა შეფასება შიდაა, მაგრამ ზოგიერთ სავალდებულო ქვეთავს აქვს დამატებითი კონტროლი შეფასებაზე და ფასდება Pearson-ის მიერ დაწესებული დავალებებით. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეთავი შემაჯამებელი ხასიათისაა. მოსწავლის სამუშაო უნდა არსებობდეს ინგლისურ ენაზე, სტანდარტიზაციისთვის. მოსწავლემ, რომელსაც კვალიფიკაცია ენიჭება, შეიძლება შეფასება გაიაროს ქესტების ენაზე, სადაც შესაძლებელია.

შეფასება ქვეთავებისა და კვალიფიკაციებისთვის

კვალიფიკაციის მიღწევა მოითხოვს თითოეული თემის ღრმად შესწავლის დემონსტრირებას, უნარების ათვისებას, რომლებიც საჭიროა დასაქმებისთვის ან სწავლის მომდევნო საფეხურისთვის და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მოსწავლეებს, რომლებიც კვალიფიკაციას იღებენ, მიღწეული აქვთ კვალიფიკაცია ყველა სავალდებულო ქვეთავში, მათ შორის შემაჯამებელ შეფასებაშიც, სადაც ეს აუცილებელია. ყველა ქვეთავი ფასდება მოცემული სკალით

- Distinction (D),

- Merit (M)
- Pass (P)
- Unclassified (U).

ყველა სავალდებულო და არჩევითი ქვეთავი პროპორციულად მოქმედებს საბოლოო ქულაზე. მაგალითად, ქვეთავი 120 GLH-ით ორჯერ უფრო იმოქმედებს ქულაზე, ვიდრე ქვეთავი 60 GLH-ით.

კვალიფიკაცია ფასდება სკალით P-დან D-მდე ან PP-დან D*D*-მდე ან PPP-დან D*D*D*-მდე. იხ. *Section 9 Understanding the qualification grade* მეტი ინფორმაციისთვის.

კავშირი კვალიფიკაციის შეფასების სკალასა და ქვეთავის ქულებს შორის არის გადახედვის საგანი სტანდარტების მონიტორინგის პროცესში.

წვდომა BTEC-ის შეფასებაზე

შეფასება ყურადღებით უნდა მოხდეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა მოსწავლე სამართლიანად და დაროულად ფასდება და მათ აქვთ საშუალება გააგრძელონ მუშაობა მომდევნო განვითარებაზე.

თანასწორობის პოლიტიკა მოითხოვს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა კვალიფიკაციასა და შეფასებაზე და კვალიფიკაცია მინიჭებულია ისეთი გზით, რომ იყოს ყველა მოსწავლისთვის სამართლიანი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ:

- მოსწავლეები კონკრეტული მახასიათებლებით არ არიან წამგებიან მდგომარეობაში იმ მოსწავლეებთან მიმართებაში, ვისაც მსგავსი მახასიათებლები არ აქვს;
- ყველა მოსწავლე იღებს აღიარებას, რომელიც ეკუთვნის კვალიფიკაციისთვის და ეს აღიარება კონსისტენტურია და შედარებითია სხვა მოსწავლეების მიღწევებთან.

IB CP-ის შეფასების პრინციპების დანერგვა

CP შეფასების პროცედურები შექმნილია პროგრამის კოორდინატორებისთვის, რომლებიც ახდენენ CP-ს დანერგვას სკოლაში. სკოლის ყველა წარმომადგენელს აქვს წვდომა CP შეფასების პროცედურებზე პროგრამის რესურსების ცენტრის საშუალებით. საჭიროა შესვლისთვის აუცილებელი მონაცემები.

CP სერთიფიკატი არ მოიცავს კონკრეტულ ქულებს.

CP სერთიფიკატი გადაეცემა კანდიდატს, თუ მან ყველა მოთხოვნა შეასრულა.

- სკოლა ადასტურებს, რომ კანდიდატმა დაასრულა პროფესიასთან დაკავშირებული სასწავლო კურსი.
- კანდიდატს აქვს 3 ან მეტი ქულა DP-ს ორ საგანში მაინც;
- კანდიდატს აქვს D ან უფრო მაღალი ქულა თვითშეფასების პროექტში;
- სკოლა ამოწმებს, რომ ყველა პერსონალური და პროფესიული უნარის, საზოგადოებაში ჩართულობის და უცხო ენის ათვისების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;
- კანდიდატს არ აქვს მიღებული შენიშვნა პლაგიატის შესახებ საბოლოო აღიარების კომიტეტისგან.

პროფესიასთან დაკავშირებული კურსის და თვითშეფასების პროექტის ქულებს ერთი და

იგივე კომიტეტი ამოწმებს.

კურსების შეფასება

კურსები, რომლებიც კანდიდატმა გაიარა CP-ს დროს ფასდება გარე ან შიდა შეფასებით და მოდერაციით.

შიდა შეფასება მოიცავს მასწავლებლის მიერ კურსის შერსულების შეფასებას და ქულებია IBIS-ში შეტანას. შიდა შეფასების ნაწილი მოდერაციით გადამოწმდება, რაც მოიცავს ქულების ვალიდაციას და მოდერაციის ფაქტორის გამოყენებას (თუ საჭირო გახდა). მოდერაცია აძლევს IB-ს საშუალებას, შესაბამისობაში მოიყვანოს ქულები ყველა სკოლის მასშტაბით და გახადოს სტანდარტი გლობალური.

სკოლის ფარგლებში, ყველა მასწავლებელს ევალება საგანი იყოს სტანდარტიზებული და ის ერთგვაროვნად ფასდებოდეს.

გარე შეფასების კომპონენტები იტვირთება IBIS-ში და მოწმდება გარე შემფასებლების მიერ.

DP-ს საგნების და CP-ის ძირითადი კომპონენტების შეფასება

DP-ს საგნები და ძირითადი საგნები ქვემოთ მოცემული მეთოდებით ფასდება. გაითვალისწინეთ, რომ კარიერული საგნები ფასდება (ან მათი აღიარება ხდება) სკოლის მიერ და არა IB-ის მიერ.

არჩეული DP-ის საგნები ფასდება საგნობრივი სახელმძღვანელოების მიხედვით, რომლებიც მოიცავს შიდა და გარე შეფასების მოთხოვნებს. DP-ს საგნების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ CP Assessment Procedures-ის C ნაწილში და შესაბამის საგნობრივ სახელმძღვანელოებში.

თვითშეფასების პროექტი შიდა შეფასებით ფასდება და მასზე გარე მოდერაციას IB ახორციელებს. დეტალურად ინფორმაცია თვითშეფასების პროექტის შეფასებაზე შეგიძლიათ იხილოთ დოკუმენტში Reflective project guide, სექცია C7.

პერსონალური და პროფესიული უნარების შეფასება სკოლის მიერ ხდება (სასურველია განმავითარებელი შეფასების ტექნიკების გამოყენება).

უცხო ენის ათვისება შიდა შეფასებას ექვემდებარება (სკოლის ან გარე ორგანიზაციის მიერ). მის აღიარებას სკოლა უზრუნველყოფს.

პროფესიული და პერსონალური უნარების ძირითადი კომპონენტები, საზოგადოებრივი ჩართულობა და უცხო ენის სწავლება დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს, რომ CP დასრულებულად ჩაითვალოს. სკოლა გადაწყვეტს, არის თუ არა ეს კომპონენტები დამაკმაყოფილებლად შესრულებული და IB-ს IBIS-ის საშუალებით აწვდის ინფორმაციას.

შიდა შეფასება (CP/DP)

მასწავლებლები და კოორდინატორები უნდა გაეცნონ შემდგომ სექციას და შესაბამის საგნობრივ სექციებს დოკუმენტში CP Assessment procedures, რომ გაითვალისწინოთ შიდა შეფასების და სავარაუდო

ქულების მოთხოვნები.

მასწავლებლების ჩართულობა შიდა შეფასებაში CP-ს შეფასების ძირითადი ნაწილია.

ეს პროცესი სამი გზით მიმდინარეობს:

1. მასწავლებლებს შეჰყავთ შიდა შეფასების ქულები მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების შემდეგ მაღალი და სტანდარტული საგნებისთვის.

2. მასწავლებლები წერენ სავარაუდო ქულას მოსწავლისთვის, რომელსაც ის გამოცდაზე მიიღებს. სავარაუდო ქულა უნდა ეფუძნებოდეს Diploma Programme Grade Descriptior (დეკემბერი, 2017) დოკუმენტში მოცემულ აღწერას.

3. სასურველია, მასწავლებლებმა დაუწერონ კომენტარი მოსწავლეს შესრულებული სამუშაოსთვის, სადაც აუხსნიან, როგორ განისაზღვრა მათი ქულა. ასეთი კომენტარები ეხმარება მოსწავლეს უკეთ მართოს საკუთარი სწავლის პროცესი.

გარდა ამისა, კოორდინატორებს მოეთხოვებათ ატვირთონ სისტემაში მასწავლებლების მიერ შეფასებული ნაშრომების ნაწილი, რათა მოხდეს მათი მოდერაციისთვის გამოყენება.

საგნის მასწავლებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მოსწავლის მიერ ჩაბარებული ნაშრომი შეესაბამება საგნისა და დონის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია საგნობრივ სახელმძღვანელოებში.

მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ კანდიდატის სამუშაო IB-ს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი საგნისა და დონის გათვალისწინებით. მასწავლებლის ქულა უნდა იყოს მოცემული მინიმალურ და მაქსიმალურ ქულას შორის ჩარჩოში. არ გამოიყენება ათწილადი ქულები ან მიახლოებითი ქულები. მასწავლებლის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის მიერ რეალურად შესრულებულ სამუშაოს.

კანდიდატებმა შიდა შეფასების სამუშაო უნდა შეასრულონ იმ ენაზე, რომელზეც დარეგისტრირებულნი არიან საგანზე.

მასწავლებელმა უნდა დაწეროს ქულა მაშინაც, თუ ნაშრომი ან ჩართულობა არასრულია. თუ კანდიდატი არ ჩააბარებს ნაშრომს, IBIS-ში იწერება F, რაც ნიშნავს, რომ საგანში ქულა არ დაიწერება.

სავარაუდო ქულები

სავარაუდო ქულები არის მასწავლებლის ვარაუდო, თუ რა ქულას მიიღებს მოსწავლე DP-ს საგანში. სავარაუდო ქულა უნდა ეფუძნებოდეს:

- მოსწავლის მიერ შესრულებულ ყველა ნაშრომს;
- მასწავლებლის მიერ IB-ს სტანდარტების ცოდნას.

სავარაუდო ქულა აუცილებელი მოთხოვნაა DP-ს საგნისთვის. მნიშვნელოვანია ისინი იყოს მაქსიმალურად ზუსტი.

აღიარება

CP კოორდინატორები და მასწავლებლები პასუხისმგებლები არიან მოსწავლეებს დაეხმარონ ნაშრომის მომზადებაში შეფასებისთვის და დარწმუნდნენ, რომ მათი ნაშრომები შეესაბამება საგნის სახელმძღვანელოს ყველა მოთხოვნას.

გარე შეფასება

კანდიდატის ნაშრომის გარე შეფასება ხდება IB-ს მიერ დანიშნული გარე შემფასებლის მიერ და არა მისი საგნის მასწავლებლის მიერ (კანდიდატის მასწავლებლის მიერ შეფასება შიდა შეფასების სახეა).

გამოცდები

CP კანდიდატებს მოეთხოვებათ მონაწილეობა მიიღონ საბოლოო გამოცდებში, მათ შორის DP-ს საგნობრივ გამოცდებში.

აკადემიური პატიოსნება

წერიტი ან ზეპირი გამოცდისას, აკადემიური პატიოსნების დარღვევა შეიძლება მოხდეს (მაგალითად, არაავტორიზებული მასალის შეტანა გამოცდაზე ან გამოცდის ჩაშლის მცდელობა), რასაც ზედამხედველობს კოორდინატორი და/ან გამოცდაზე დამსწრე პასუხისმგებელი პირი.

ასეთი ქცევა გამოცდის ფარგლებში უნდა აისახოს IB Global Centre, Cardiff-ის Assessment Division-თან, IB Answers-თან მოხსენების გაგზავნით, რაც შეიძლება სწრაფად (იდეალურ შემთხვევაში, მომხდარიდან 24 საათში). მოხსენება უნდა მოიცავდეს ინციდენტის სრულ აღწერას.

მოხსენებას თან უნდა ერთვოდეს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, მაგალითად, არაავტორიზებული მასალის სურათები. კოორდინატორები და კანდიდატები ინფორმირებულები უნდა იყვნენ, რომ კანდიდატი არღვევს წესებს მაშინაც კი, თუ არაავტორიზებული ნივთი (მაგ. ელექტრონული მოწყობილობა, გარდა დასაშვები კალკულატორისა, ჩანაწერები, მობილური ტელეფონი, სმარტ-საათი) საგამოცდო ოთახში შეაქვს და არა მხოლოდ მისი გამოყენების მომენტში.

მოხსენების გადახედვის შემდეგ IB დაუკავშირდება სკოლას რომ გააცნოს გამოძიების შემდგომი ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია.

ინკლუზიური პოლიტიკა

IB-ს სჯერა, რომ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს საშუალება, გამოცდა სამართლიან გარემოში ჩააბაროს. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის სტანდარტული პირობები და შეფასების პროცედურები პრობლემას უქმნის კანდიდატს და ხელს უშლის მას საკუთარი უნარების და ცოდნის სრულად გამომჟღავნებაში, შესაძლებელია მოხდეს პროცესების ცვლილება.

კანდიდატს შეიძლება დასჭირდეს განსაკუთრებული პირობების შექმნა, თუ მას აქვს შემდგომი სწავლის სირთულეები:

- კონკრეტული ენობრივი სირთულეები;
- კომუნიკაციის ან მეტყველების სირთულეები;
- დასწავლის უნარის დარღვევა;
- აუტისტური სპექტრის დარღვევა;
- სოციალური, ემოციური ან ქცევითი გამოწვევები;

- ფიზიკური ან სენსორული გამოწვევები;
- ჯანმრთელობის ან ფსიქოლოგიური სირთულეები, მათ შორის, ჯანმრთელობის დროებითი პრობლემები (რომლებიც დაიწყო IB-ს გამოცდებამდე (მაისი/ნოემბერი) სამი თვით ან უფრო ადრე);
- სხვა ენაზე სწავლის პრობლემები.

მიუხედავად ამისა, გარემოს მორგებისთვის არ არის აუცილებელი მოსწავლეს ჰქონდეს იდენტიფიცირებული დარღვევა ან სირთულე. დახმარება შეიძლება ნებისმიერ მოსწავლეს აღმოუჩინოთ, თუ ის დასაბუთებულია Access and Inclusion Policy-ს მიერ მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე.



AHS - ამერიკული უმაღლესი სკოლა

შეფასების კრიტერიუმები

ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავენ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც მოსწავლე იძენს პროგრამის მსვლელობისას.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა შეფასება ყოველდღიურია საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ ყველა საგანში. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება საგნების მიხედვით და ეფუძნება/ითვალისწინებს Common Core (მათემატიკა, უცხო ენები და ლიტერატურა და სოციალური მეცნიერებები) და Next Generation (ზუსტი მეცნიერებები) სტანდარტების მოთხოვნებს. საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულა დგება ამერიკის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ჩართულობა
- საკლასო სამუშაო
- საშინაო დავალება
- პრეზენტაცია
- პროექტი
- ესსე
- თემის შემაჯამებელი (unit) ტესტი
- ტესტი/ქვიზი
- საშინაო დავალების ტესტი
- შემაჯამებელი ესსე
- შუალედური გამოცდა
- ფინალური გამოცდა
- ლაბორატორიული სამუშაო
- ჟურნალის წარმოება

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულის კომპონენტები ვარირებს საგნების მიხედვით. საბოლოო ქულის პროცენტული რაოდენობა 100

% ნაწილდება მასში შემავალ კომპონენტებზე. თითოეული საგნის სილაბუსში, აგრეთვე სასკოლო ელექტრონულ ჟურნალში ასახულია საბოლოო ქულის გამოსათვლელი კომპონენტები და მათი პროცენტული წილი ნიშანში. საბოლოო ქულის გამოსათვლელ ფორმულას სილაბუსთან ერთად ამტკიცებს აკადემიური დეკანი. თითოეული საგნის სილაბუსი, სადაც მითითებულია საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულა, მისი კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი მოსწავლის საბოლოო ნიშანში, აკადემიური წლის დასაწყისში ეგზავნება მოსწავლეებს და მშობლებს.

შეფასების სისტემები

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში გამოიყენება შეფასების 2 სისტემა: დიფერენცირებული - ანბანური სისტემა და არადიფერენცირებული - ჩათვლა/ჩაჭრის სისტემა. ჩათვლა ჩაჭრის სისტემა გამოიყენება შემდეგი საგნებისთვის: ფიზიკური აღზრდა (არადიფერენცირებული - ქულა 1-100-მდე), ჯუნიორ პროექტი (არადიფერენცირებული - ქულა 0-დან 300 - მდე), სინიორ პროექტი (არადიფერენცირებული - ქულა 0 - დან 300 - მდე), და ქართული ენისა და ლიტერატურის შეფასებისთვის უცხოელი მოსწავლეებისთვის (არადიფერენცირებული ქულა 1-100 - მდე). ეს საგნები საბოლოო შეფასებაში წარმოდგენილია როგორც „ჩათვლა/ჩაჭრა“. ჩათვლილად მიიჩნევა საგანი, რომელშიც მოსწავლე იღებს 60%-ზე მაღალ მაჩვენებელს.

ამერიკული სკოლის საწავლო ბადით გათვალისწინებული დანარჩენი საგნებისთვის გამოიყენება დიფერენცირებული- ანბანური სისტემა.

მოსწავლეთა საბოლოო ქულები გამოითვლება ყველა კრიტერიუმის შეჯამების შედეგად, რომელიც შეყვანილია Quickschools- ში (ონლაინ ჟურნალი) სემესტრის განმავლობაში. წლის საბოლოო ქულა გამოითვლება ორი სემესტრის ქულის საშუალო მაჩვენებლით. ქულა მოცემულია რიცხვითი სახით (0 - დან 100 - მდე) და ანბანური სახით (F - დან A- მდე). მათი შესაბამისობა მოცემულია შეფასების სკალაში.

შეფასების სკალა

ქულები		
პროცენტი 100-დან	ანბანური ქულა	გადაყვანა 4.0 სკალაში
93-100	A	4.0
90-92.99	A-	3.7
87-89.99	B+	3.3
83-86.99	B	3.0
80-82.99	B-	2.7
77-79.99	C+	2.3
73-76.99	C	2.0
70-72.99	C-	1.7
67-69.99	D+	1.3
63-66.99	D	1.0
60-62.99	D-	0.7

შეფასების განმარტება

საგნებისთვის შეთავაზებულია შეფასების შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთი:

დიფერენცირებული — ანბანური შეფასება A-F ქულები გამოიყენება კურსის აკადემიური მოსწრების შესაფასებლად. A-F ქულები გამოიყენება GPA-ს დაანგარიშებისას.

არადიფერენცირებული - ჩათვლა/ჩაჭრა ჩათვლა/ჩაჭრის შეფასებება გამოიყენება კურსის წარმატებით დასრულების ან წარუმატებლობის აღსანიშნად, რაც არ გამოიყენება GPA გამოთვლაში.

სხვა ანბანური შეფასებები			
შეფასება	მნიშვნელობა	მნიშვნელობა GPA-სთვის	კრედიტი
E	საპატიო გაცდენა	არ ითვლება	არ გაითვალისწინება კრედიტის საათებში
U	არასაპატიო გაცდენა	ითვლება როგორც 0	არ გაითვალისწინება კრედიტის საათებში
I	არასრული	არ ითვლება *	არ გაითვალისწინება კრედიტის საათებში
P	ჩათვლა	არ ითვლება	შედის კრედიტის საათებში
NP	ჩაჭრა	არ ითვლება	არ გაითვალისწინება კრედიტის საათებში

სხვა ანბანური შეფასების განმარტება

საპატიო გაცდენა (E): იწერება, როდესაც მოსწავლე არ ესწრება გაკვეთილს ისეთ კომპონენტში, რომელიც საჭიროებს მოსწავლის გაკვეთილზე დასწრებას და რომლის აღდგენაც შეუძლებელია შემდეგ გაკვეთილზე, თუ მოსწავლე წარმოადგენს ოფიციალურად გაცემულ სამედიცინო ცნობას ან მშობლის განცხადებას.

არასაპატიო გაცდენა (U): იწერება, როდესაც მოსწავლე არ ესწრება გაკვეთილს, ისეთ კომპონენტში, რომელიც საჭიროებს მოსწავლის გაკვეთილზე დასწრებას და რომლის აღდგენაც შეუძლებელია შემდეგ გაკვეთილზე, თუ მოსწავლე არ წარმოადგენს ოფიციალურად გაცემულ სამედიცინო ცნობას ან მშობლის განცხადებას.

არასრული (I): იწერება, როდესაც მოსწავლემ არ შეასრულა დავალება, ან არადადამაკმაყოფილებლად შეასრულა და მას ეძლევა დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად ან როდესაც მოსწავლე ვალდებულია, ხელმეორედ შეასრულოს დავალება აკადემიური არაკეთილინდისიერი ქმედებისთვის.

*ყველა არასრული (I) შეფასება შეიცვლება 0 ქულად სემესტრის ბოლო დღეს მისი გაუმჯობესების არ არსებობის შემთხვევაში.

ჩათვლა (P): შეფასება P გამოიყენება კურსის წარმატებით დასრულების აღსანიშნავად. P ქულა მოიცავს კრედიტს, მაგრამ არ გამოიყენება GPA-ს გამოთვლაში.

ჩაჭრა (NP): შეფასება NP გამოიყენება კურსის წარუმატებლად გავლის აღსანიშნავად. NP ქულა არ მოიცავს კრედიტს და არ გამოიყენება GPA გამოთვლაში.

დანართი A: განმავითარებელი შეფასება - დაწყებითი ქართული პროგრამა

დაწყებით სკოლაში მოსწავლეების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით

განმსაზღვრელი შეფასება წახალისებს მოსწავლეებს, რომ მიაღწიონ წარმატებას, წახალისებს მათ, რომ გააუმჯობესონ მოსწრება და ეხმარება მათ, რომ განავითარონ თვით და თანატოლთა შეფასების უნარები.

განმსაზღვრელი შეფასების მიზნებია შემდეგი:

- სწავლის შეფასება
- პროგრესის მონიტორინგი
- დამოუკიდებელი აზროვნებისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება
- თვითშეფასების უნარების და მეტაკოგნიტური აზროვნების

განვითარება. განმსაზღვრელი შეფასების სტრატეგიებია:

1. მოსწავლეებთან ერთად სწავლის მიზნების და წარმატების კრიტერიუმების დადგენა, გაზიარება და გაგება.
2. ეფექტური საკლასო დისკუსიის, საქმიანობს და დავალებების შექმნა რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება წარმოადგინონ საკუთარი ფაქტობრივი ცოდნა.
3. მოსწავლეებისთვის ეფექტური და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება თვით-განვითარების წახალისებისთვის.
4. საკლასო პასუხისმგებლობის კულტურის წახალისება.
5. თანატოლთა სწავლების წახალისება.

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ნათელი, დეტალური და კრიტერიუმზე დაფუძნებული უკუკავშირი

- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სწავლის გზის რა ადგილზე იმყოფებიან
- მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ თავიანთი პასუხების შედარება სწორ პასუხებთან
- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ როგორ მიაღწიონ თავიანთ საბოლოო მიზნებს.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს და მონიტორინგს უწევს მოსწავლეების პროგრესს და აძლიერებს სწავლის ხარისხს. ფორმირებადი შეფასება შეიძლება მოიცავდეს: ზეპირ უკუკავშირს, რჩევას, სადამკვირვებლო ფურცლებს, თვით- და თანატოლების შეფასება და ა.შ.

როგორ დაუჭიროთ მხარის პროგრესს შეფასების შემდეგ?

- სხვადასხვა დავალების მოფიქრება
- სწავლის სტრატეგიების შეცვლა
- რჩევის მიცემა

წარმატების კრიტერიუმის აღწერა

წარმატების კრიტერიუმები შეიძლება განისაზღვროს მოსწავლის პროგრესზე დაყრდნობით

შეფასებამდე, მასწავლებელმა უნდა:

- დაადგინოს თუ რას აფასებს ის
- დაადგინოს მიზნები და მაჩვენებლები
- დაგეგმოს შეფასება
- დაგეგმოს თუ როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები
- სწავლის საბოლოო მიზანი დაფუძნებულია საგნის სტანდარტებზე და სასურველ შედეგებზე, როცა ხდება მოსწავლეების შეფასება იმაზე თუ რა ისწავლეს, შეფასება შეესაბამება სასურველ მიზნების და ამოცანებს.
- მიზნების მაჩვენებლები: შეფასების რუბრიკების დახმარებით მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმი და დაადგინოს მოსწავლის პროგრესი მათ შესაბამისად.
- შეფასების რუბრიკები და მათი გამოყენება ახსნილია ამ სახელმძღვანელოში.
- შეფასების ტექნიკები: შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს ეს ინსტრუმენტები, გამოყოს დრო მათი გამოყენებისთვის და გაანალიზოს შედეგები.
- შედეგების ანალიზი: შედეგების ანალიზისთვის და სწავლის შესაბამისი დაგეგმვისთვის, მასწავლებელმა უნდა ორგანიზება გაუკეთოს და დააღაგოს მონაცემები.

განმსაზღვრელი შეფასების ტიპები

წერილობითი და ზეპირი უკუკავშირი

წერილობითი უკუკავშირი მოსწავლეების დავალების შემდეგ, მასწავლებლები უზრუნველყოფენ წერილობით უკუკავშირს; უკუკავშირი ადგენს მოსწავლეების შეცდომებს და მათ გამოსწორების სავარაუდო გზებს. ამის შემდეგ, მასწავლებლები უზრუნველნი დავალებებს მოსწავლეებს და აძლევენ დროს შეცდომების გამოსასწორებლად. ბოლოს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის ნამუშევრის ბოლო ვერსიას.

დავალების ტიპები

საშინაო დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო, პორტფოლიო და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმის შესაბამისად, მასწავლებლები ხაზს უსვამენ მოსწავლეების ძლიერ მხარეებს და აძლევენ რჩევებს მათი საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ შემდეგი სტრატეგიები რათა დაეხმარონ მოსწავლეების გამოწვევების გადალახვაში: წერილობითი შეხსენება, წერილობითი კითხვარები, ამოცანების პატარა ნაწილებად დაყოფა, მაგალითების მიცემა და ა.შ.

პედაგოგები იყენებენ ზეპირ უკუკავშირს სტუდენტების საქმიანობის ანალიზისთვის.

წერილობითი შეფასების სტრატეგიების გარდა, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ფრაზები:

ა. რატო ფიქრობ ასე?

ბ. მაღლობა დავალების ჩაბარებისთვის. კიდევ ერთხელ გადახედე: დარწმუნებული ხარ რომ

ყველაფერ სწორედ გააკეთე?

გ. მადლობა დავალების დასრულებისთვის. თუმცა, მე ვხედავ რამდენიმე შეცდომას. გთხოვ გადახედო ნამუშევარს კიდევ ერთხელ.

დ. რას შეცვლიდი შენს ნამუშევარში?

ზეპირი უკუკავშირი უზრუნველყოფს ფართო არეალს მოსწავლესთან ეფექტური კომუნიკაციისთვის.

თანატოლთა შეფასება და თვითშეფასება

რომ დავებმართო მოსწავლეებს თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების უნარების განვითარებაში გამოიყენება შესაბამისი სქემები, რუბრიკები და კითხვარები. გამოიყენება შემდეგი კითხვები:

რატომ უნდა ვიცოდე ეს? რატომ უნდა გავაკეთო ეს?

თუ ამას ვერ გავაკეთებ, ეს შეაფერხებს ჩემს სწავლას? რა ნაბიჯები უნდა გადავდგა დავალების დასასრულებლად? რა რესურსები მჭირდება? როგორ უნდა მოვემზადო დავალებისთვის?

რა გამოწვევები შეიძლება შემხვდეს პროცესში? როგორ გადავლახო ეს წინააღმდეგობები? რა სახის დახმარება შეიძლება დავეყრდნო?

შემიძლია დავადგინო რატომ

დავუშვი შეცდომები? დღეს

ახალი რა ვისწავლე?

იყო რაიმე რამაც ხელი შემიშალა სწავლაში?

შეფასების რუბრიკები შემუშავდება გაკვეთილის მიზნებზე და ამოცანებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ავსებენ რუბრიკებს რომ დაადგინონ რამდენად კარგად შეასრულეს მათ დავალება.

მაგ:

დავალება	მე ძალიან კარგად შევასრულე დავალება	მე კარგად შევასრულე დავალება	მე ნაწილობრივ შევასრულე დავალება	მე მჭირდება მეტი დროს სწავლისთვის

თანატოლებთან თანამშრომლობა ამდიდრებს მოსწავლის სწავლას, მოსწავლეები აძლიერებენ საკუთარ არსებულ ცოდნას, ადგენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს სხვების ნამუშევარში და შეაფასებენ პროგრესს.

გამოიყენება თანატოლთა შეფასების შემდეგი ტექნიკები: დავალებების გაცვლა, ერთმანეთის ინტერვიუ, ზეპირი თანატოლთა შეფასება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით და ა.შ.

დაკვირვება როგორც ფორმირებადი შეფასების საშუალება

დაკვირვება გამოიყენება როგორც ფორმირებადი შეფასების ინსტრუმენტი. მასწავლებლებმა

შეუძლიათ გადაწყვიტონ თუ კონკრეტულად რას უნდათ რომ დააკვირდნენ – მთელ კლასს, საკლასო ოთახში კომუნიკაციის დინამიკას და ა.შ. მათ შეუძლიათ გააკეთონ კომენტარი მთელი კლასის წინაშე, ორგანიზება გაუკეთონ ინდივიდუალურ დისკუსიებს, შეაჯამონ მათი დაკვირვების შედეგები და გამოიყენონ ისინი მოსწავლეთა მოსწრების გასაუმჯობესებლად.

დაკვირვების შედეგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანალიტიკური ან ჰოლისტიკური შეფასების რუბრიკებით.

მოსწავლე აკადემიურ წელიწადში ორჯერ იღებს შემაჯამებელ შეფასებას, წლის დასაწყისში და წლის ბოლოსთვის. შეფასება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხაზგასმულ დისციპლინის მიზნებს და მაჩვენებლებს. მოსწავლეები შეფასდებიან ოთხ სფეროში: *არ არის საჭირო, საჭიროა გაუმჯობესება, კარგი, ფრიადი* მონიშნება შესაბამისი უჯრები. დაემატება დამატებითი ადგილი უფრო დეტალური ინფორმაციისთვის; მასწავლებელმა შეიძლება უზრუნველყოს მისი რეკომენდაციები და რჩევები და აღნიშნოს მოსწავლის ნიჭი და შესაძლებლობები. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია მშობლებისთვის. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თვალი ადევნონ მათი შვილის პროგრესს შემაჯამებელ შეფასებამდე: ელექტრონული ჟურნალით და მშობელთა კრებებით.

მათ ასევე შეუძლიათ შეამოწმონ თავისი შვილების რვეულები – იქ მასწავლებლები ხშირად ტოვებენ კომენტარების.

შეფასების კრიტერიუმი, იმ უნარების ნაკრებთან ერთად რომელიც უნდა შეიძინოს მოსწავლემ საგნის სტანდარტების შესაბამისად მოყვანილია ქვემოთ:

ქართული ენისა და ლიტერატურის მიზნები

- ძირითადი კომუნიკაციის უნარების განვითარება: მოსმენა, საუბარი კითხვა, წერა
- წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარება.
- ლოგიკური აზრის ჩამოყალიბების და წერილობით ტექსტის შედგენის უნარის განვითარება.
- დამოუკიდებელი, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარება.
- კითხვის სიყვარულის კულტივაცია.
- ლიტერატურის როგორც ხელოვნების ფორმის დაფასების და გაცნობიერების უნარის განვითარება.
- მუდმივად ცვალებადი ეროვნული და საერთაშორისო კულტურების გაცნობიერების უნარის განვითარება.

ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მთავარი მიზანია ზეპირი, კითხვითი და წერითი უნარების განვითარება.

ქართული ენის და ლიტერატურის კურსს აქვს თავისი სპეციფიკა 1–ელ კლასში. შესაბამისად, შეფასების ფორმა ოდნავ განსხვავებულია

1-ლი კლასი

სახელი _____ გვარი _____

შეფასების კომპონენტები	ფრიადი	კარგი	საჭიროებს გაუმჯობესებას
ცნობს და ასახელებს ასოებს და იდენტიფიკაციას უკეთეს ბგერებს.			
შლის სიტყვებს ცალკეულ ბგერებად – ფონემური სეგმენტირება			
კითხულობს სიტყვებს ყოფს სიტყვებს მარცვლებად			
კითხულობს ტექსტს პასუხობს შეკითხვებს ტექსტის გარშემო			
აწყვილებს ბგერებს მათ შესაბამის ასოებთან.			
იცის როგორ მოხაზოს თითოეული ასო. იცის ხელით წერის ძირითადი საფუძვლები (ადგილის დატოვება ასოებს, სიტყვებს და ხაზებს შორის)			
დამოუკიდებლად წერს სიტყვებს და წინადადებებს.			

ქართული ენა და ლიტერატურა

შეფასების ფორმა 2-4 კლასებისთვის

მოსწავლის სახელი _____ გვარი _____

შეფასება _____

კრიტერიუმი	არ მიესადაგება	საჭიროებს გაუმჯობესებას	კარგი	ფრიადი
წაკითხვა				

თავისუფლად კითხულობს ტექსტს აუმჯობესებს მისი სალაპარაკო ხმის ტონს და ხარისხს.				
სვავს შეკითხვებს ტექსტის გარშემო და პოულობს პასუხებს.				
შეუძლია იდენტიფიცირება გაუკეთოს ნარატიულ და განმარტებით ტექსტებს. შეუძლია იდენტიფიცირება გაუკეთოს მხატვრულ და არა-მხატვრულ				
ყურადღებას აქცევს უცნობ სიტყვებს და წინადადებებს და ცდილობს ჩაწვდეს მათ მნიშვნელობას.				
აჩვენებს მის დამოკიდებულებას/აზრს ტექსტის მიმართ.				

კრიტერიუმი	არ მიესადა გება	საჭიროებს გაუმჯობესე ბას	კარგი	ფრიადი
წერა				
დამოუკიდებლად შეუძლია მცირე ტექსტების შედგება და მისი აზრის ნათლად გამოხატვა.				
იყენებს სწორ გრამატიკას და ორთოგრაფიას. იცავს პუნქტუაციის წესებს.				
იყენებს შესაბამისი ლექსიკონის სიტყვებს. ადგენს ლოგიკურ წინადადებებს.				
განიხილავს მის ნაწერს. პოულობს და ასწორებს მარტივ შეცდომებს.				
შეუძლია შექმნას/ შეადგინოს განმარტებითი ტექსტები: ღია ბარათები, დღის წესრიგი, სიები და ა.შ.				

კრიტერიუმი	არ მიესადაგება	საჭიროებს გაუმჯობესებას	კარგი	ფრიადი
ზეპირი				
შეუძლია გაიგოს და თავიდან მოყვეს ამბები.				
იყენებს აქტიურ ლექსიკონს და ლინგვისტურ ფორმებს.				
შეუძლია დაადგინოს ვინ ლაპარაკობს და ვის ელაპარაკებიან შეუძლია დაადგინოს დისკუსიის საკითხები				

დამატებითი ინფორმაცია

მათემატიკური უნარები

- ძირითადი მათემატიკური ცნებების გაგება და გამოყენება
 - მათემატიკურ ცნებებს შორის კავშირის დამყარება
 - მათემატიკური იდეების კომუნიკაცია და მათემატიკური ენის ცოდნა.
 - მსჯელობა
 - მოდელის აღწერა და ახსნა
 - დავალების გაგება
 - რთული ცნებების მარტივებად დაშლა
 - მათემატიკური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება
 - მათემატიკური პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტილებების მოძიება; სიზუსტე
 - საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. სხვა უნარები, რომლებიც ასევე შეფასდება
1. კრეატიული აზროვნება
 2. თანამშრომლობა (თანამშრომლობა პარტნიორებთან და ჯგუფის წევრებთან)
 3. სტრატეგიული აზროვნება
 4. ჩართულობა

მოსწავლის სახელი _____

შეფასება _____

	არ მიესადაგება	საჭიროებს გაუმჯობესებას	კარგი	ფრიადი
ნომრები და ოპერაციები				
შეუძლია ციფრების დადგენა და წერა				
შეიძლია წინ და უკან დათვლა შეუძლია დაადგინოს მომდევნო ციფრები				
ესმის დამატების, გამოკლების, გამრავლების და გაყოფის მნიშვნელობა				
აკეთებს დამატების და გამოკლების ამოცანებს და ესმის ციფრების ურთიერთობა				

შეუძლია მათემატიკური სიდიდეების და ციფრების თვლა და შედარება				
შესაბამისი გადაწყვეტილების არჩევით ანალიზებს და გადაჭრის მათემატიკურ პრობლემებს				
ცნობს და ითვლის კუპიურებს და მონეტებს მონაწილეობს მათემატიკურ ფულად თამაშებში				
რეგულარულობა და ალგებრა				
პოულობს შედმეგ ციფრებს რიგში				
გეომეტრია და სივრცე				
განსაზღვრავს და აღწერს ბრტყელ ფორმებს				
განსაზღვრავს და აღწერს მყარ ფორმებს				
ზომავს და ადარებს ფორმების ზომებს				
მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა				
შეუძლია შეაგროვოს ხარისხობრივი მონაცემები				
შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს ხარისხობრივ მონაცემებს				

დამატებითი ინფორმაცია

მეცნიერებები

უნარები

- დაკვირვების და აღწერის უნარების განვითარება
 - კლასიფიკაციის უნარების განვითარება
 - ანალიზის ჩატარება: ჰიპოთეზის ფორმულირება
 - დაგეგმვის უნარების განვითარება
 - ექსპერიმენტული უნარების განვითარება
 - გადაწყვეტილებს მიღებაში უნარების განვითარება
 - კომუნიკაციის უნარების განვითარება
 - მეცნიერების სიყვარულის კულტივაცია.
 - მეცნიერების მნიშვნელობის გაგება
 - სამეცნიერო კვლევის მიმართ დადებითი დამოკიდებულების განვითარება
 - თანამშრომლობის უნარების განვითარება
 - ჯანსაღი ცხოვრების წესის გაგების განვითარება
 - მოსწავლეების წახალისება რომ გაუფრთხილდნენ გარემოს
 - მასწავლებელი ქმნის განსხვავებულ შეფასების ფორმებს კლასის დონეებისთვის.
- მაგალითად: 1-ლი კლასის შეფასები ფორმა

მეცნიერებები - 1-ლი კლასი

სახელი _____ გვარი _____ საკლასო ოთახში მოსწავლის ქცევის მხარდასაჭერად ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდს რომელთაგან ერთ-ერთია ქცევითი გრაფა სხვადასხვა სიმბოლოებით (სიცილაკები) ის გამოიყენება მოსწავლეთა მოტივირებისათვის და ხელს უწყობს დადებითს

თუ უფროსები წახალისებენ კარგ ქცევას, მოსწავლე გაიზრდება დამოუკიდებელი, ინიციატიური და პასუხისმგებელი ადამიანი. თუ მოსწავლეებს აკრიტიკებენ ინიციატივის გამოჩენისთვის, მათ შეიძლება თავი ვეღარ იგრძნონ კომფორტულად უფროსების გარემოცვაში. შესაბამისად, მასწავლებლის უკუკავშირი და რჩევა ასრულებენ საკვანძო როლს მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. მასწავლებელმა უნდა აითვისოს და გაამდიდროს ფორმირებადი შეფასების სტრატეგიები.

შეფასების კრიტერიუმები	ფრიადი	კარგი	საჭიროებს გაუმჯობესებას
შეუძლია სივრცეში ორიენტაცია – სკოლაში/სკოლის ეზოში			

შეუძლია ამოიციოს წელიწადის ოთხი დრო და დაასახელოს მათი თვისებები			
შეუძლია შეარჩიოს ტანსაცმელი წელიწადის დროსთვის.			
შეუძლია ხუთი სენსორული ორგანოს იდენტიფიცირება და მათი ფუნქციების აღწერა			

დანართი B: MYP შეფასების კრიტერიუმის გამოყენება

MYP შეფასების კრიტერიუმი საგნების ჯგუფებში შეიძლება შეჯამდეს როგორც შემდეგი:

	A	B	C	D
ენა და ლიტერატურა	ანალიზი	ორგანიზება	ტექსტის წარმოება	ენის გამოყენება
ენის შეძენა	სალაპარაკო და ვიზუალური ტექსტის გაგება	წერილობით და ვიზუალური ტექსტის გაგება	კომუნიკაცია	ენის გამოყენება
ინდივიდუალები და საზოგადოებები	ცოდნა და გაცნობიერება	გამოძიება	კომუნიკაცია	კრიტიკული აზროვნება
მეცნიერებები	ცოდნა და გაცნობიერება	გამოკითხვა და დიზაინი	დამუშავება და შეფასება	მოსაზრება მეცნიერების ზემოქმედების შესახებ
მათემატიკა	ცოდნა და გაცნობიერება	საგამოძიებო შაბლონები	კომუნიკაცია	მათემატიკის გამოყენება რეალური სამყაროს კონტექსტში
ხელოვნება	ცოდნა და გაცნობიერება	უნარების განვითარება	კრეატიული აზროვნება	რეაგირება
ფიზიკური და ჯანდაცვის განათლება	ცოდნა და გაცნობიერება	შესრულები ს დაგეგმვა	გამოყენება და შესრულება	ანალიზი და მოსწრების გაუმჯობესება
დიზაინი	გამოკითხვა და ანალიზი	იდეების განვითარება	გადაწვეტილების მოფიქრება	შეფასება
MYP პროექტები	გამოძიება	დაგეგმვა	ქმედების განხორციელება	მოსაზრება

ინტერდისციპლინარული	დისციპლინარული საფუძველი	სინთეზირება და გამოყენება	კომუნიკაცია	მოსაზრება
---------------------	--------------------------	---------------------------	-------------	-----------

სკოლამ რეგულარულად უნდა შეატყობინოს მოსწავლის პროგრესი MYP-ის მიზნებისკენ საგნის-ჯგუფის დადგენილი შეფასების კრიტერიუმის გამოყენებით. თითოეული საგნის ჯგუფის კრიტერიუმი წარმოადგენს ცოდნის, გათვითცნობიერების და უნარების გამოყენებას რომლებიც უნდა ასწავლონ. ისინი მოიცავენ ცოდნის ფაქტობრივ, კონცეპტუალურ, პროცედურულ და მეტაკოგნიტურ განზომილებებს. პროგრამის 1-ლი, მე-3 და მე-5 წლის შეფასების კრიტერიუმები დადგენილია MYP საგნის-ჯგუფის სახელმძღვანელოში და მისი გამოყენება სავალდებულოა პრაქტიკაში, სკოლა ხშირად აწესებს მიზნებს და კრიტერიუმებს MYP-ის მე-3 და მე-5 წლებისთვის მათ წინა წელს, იმიტომ რომ MYP-ის მე-2 და მე-4 წლის მოსწავლეებმა აითვისონ და დაიწყოთ მუშაობა დადგენილი მოთხოვნებისკენ, მოახდინონ მათი ადაპტირება და ინტერპრეტაცია ისეთი გზებით რომლებიც არის განვითარებისთვის შესაბამისი.

დანართი C: კურსის შეფასება IB დიპლომის პროგრამა 48

1-ლი ჯგუფი

- 1-ლი ნაშრომი - ლიტერატურული კომენტარი 20%
- მე-2 ნაშრომი - ესე 25%
- წერილობითი დავალება 25%
- შიდა შეფასება 30 %
- ინდივიდუალური ზეპირი კომენტარი და დისკუსია 15%
- ინდივიდუალური ზეპირი პრეზენტაცია 15%

SL

გარე შეფასება 70 %

- 1-ლი ნაშრომი ლიტერატურული კომენტარი 20%
- მე-2 ნაშრომი ესე 25%
- წერილობითი დავალება 25%
- შიდა შეფასება 30 %
- ინდივიდუალური ზეპირი კომენტარი და დისკუსია 15%
- ინდივიდუალური ზეპირი პრეზენტაცია 15%

მე-2 ჯგუფი

ენის შეძენა და ენა ab initio

HL / SL

გარე შეფასება 75 %

1-ლი ნაშრომი 25%

მე-2 ნაშრომი 50%

შიდა შეფასება 25 %

მე-3 ჯგუფი

ბიზნეს მენეჯმენტი

HL/SL

გარე შეფასება 75%

1-ლი ნაშრომი 30%

2-ლი ნაშრომი 45%

შიდა შეფასება 25%

გეოგრაფია

SL

გარე შეფასება 75%

1-ლი ნაშრომი 35%

2-ლი ნაშრომი 40%

შიდა შეფასება 25%

სტაჟირება წერიითი ანგარიში

HL

გარე შეფასება 80%

1-ლი ნაშრომი 35%

2-ლი ნაშრომი	25%
3-ლი ნაშრომი	20%
შიდა შეფასება	20%
სტაჟირება	წერიითი ანგარიში

ისტორია

SL

გარე შეფასება	75%
1-ლი ნაშრომი	30%
მე-2 ნაშრომი	45%
შიდა შეფასება	25%

HL

გარე შეფასება	80%
1-ლი ნაშრომი	20%
მე-2 ნაშრომი	25%
მე-3 ნაშრომი	35%
შიდა შეფასება	20%

ეკონომიკა

SL

გარე შეფასება	80%
1-ლი ნაშრომი	40%
მე-2 ნაშრომი	40%
შიდა შეფასება	20%

HL

გარე შეფასება	80%
---------------	-----

1-ლი ნაშრომი 30%
მე-2 ნაშრომი 30%
მე-3 ნაშრომი 20%
შიდა შეფასება 20%

ფსიქოლოგია

SL

გარე შეფასება 75%
1-ლი ნაშრომი 50%
მე-2 ნაშრომი 25%
შიდა შეფასება 25% HL
გარე შეფასება 80%

1-ლი ნაშრომი 40%
მე-2 ნაშრომი 20%
მე-3 ნაშრომი 20%
შიდა შეფასება 20%

მე-4 ჯგუფი

ბიოლოგია

SL

გარე შეფასება 80%
1-ლი ნაშრომი 20%
მე-2 ნაშრომი 40%
მე-3 ნაშრომი 20%
შიდა შეფასება 20% HL

გარე შეფასება 80%

1-ლი ნაშრომი 20%

მე-2 ნაშრომი	36%
მე-3 ნაშრომი	24%
შიდა შეფასება	20%

ქიმია SL გარე შეფასება	80%
---------------------------	-----

1-ლი ნაშრომი	20%
მე-2 ნაშრომი	40%
მე-3 ნაშრომი	20%

შიდა შეფასება HL გარე შეფასება	20%
	80%

1-ლი ნაშრომი	20%
მე-2 ნაშრომი	36%
მე-3 ნაშრომი	24%

შიდა შეფასება	20%
---------------	-----

<u>კომპიუტერულ ეცნიერება SL</u> გარე შეფასება	70%
--	-----

1-ლი ნაშრომი	45%
მე-2 ნაშრომი	25%
შიდა შეფასება	30%

HL

გარე შეფასება 80%

1-ლი ნაშრომი 40%

მე-2 ნაშრომი 20%
მე-3 ნაშრომი 20%
შიდა შეფასება 20%

ფიზიკა

SL

გარე შეფასება 80%
1-ლი ნაშრომი 20%
მე-2 ნაშრომი 40%
მე-3 ნაშრომი 20%

შიდა შეფასება 20% HL
გარე შეფასება 80%

1-ლი ნაშრომი 20%
მე-2 ნაშრომი 36%
მე-3 ნაშრომი 24%
შიდა შეფასება 20%

ჯგუფი 5

მათემატიკის შესწავლა SL

გარე შეფასება 80%
1-ლი ნაშრომი 40%
მე-2 ნაშრომი 40%
შიდა შეფასება 20%

მათემატიკა SL

გარე შეფასება 80%
1-ლი ნაშრომი 40%

მე-2 ნაშრომი 40%
შიდა შეფასება 20%

მათემატიკა HL

გარე შეფასება 80%
1-ლი ნაშრომი 30%
მე-2 ნაშრომი 30%
მე-3 ნაშრომი 20%
შიდა შეფასება 20%

ჯგუფი 6

ვიზუალური ხელოვნება

SL

გარე შეფასება 60%
ნაწილი 1 შედარებითი სწავლა 20%
ნაწილი 2 პროცესის პორტფოლიო 40%
შიდა შეფასება 40%

ნაწილი 3 გამოფენა

HL

გარე შეფასება 60%
ნაწილი 1: შედარებითი სწავლა 20%
ნაწილი 2: პროცესის პორტფოლიო 40%
შიდა შეფასება 40%

ძირითადი გაფართოებული ესეი + TOK 3 ქულამდე
CAS თა ნხმობა CAS და DP კოორდინატორებისგან

ციტირებული ნაშრომები

- საერთაშორისო ბაკალავრიატი. „მისია“ საერთაშორისო ბაკალავრიატი®, www.ibo.org/about-the-ib/mission/.
- საერთაშორისო ბაკალავრიატი. *სადიპლომო პროგრამის შეფასების პროცედურები* PDF, 2018.
- *DP გამოცდის სესიის ინსტრუქცია* PDF, საერთაშორისო ბაკალავრიატი, 2018. საერთაშორისო ბაკალავრიატი. *გამოცდის სესიისთვის მომზადება* PDF, 2018.
- *DP გამოცდის სესიის ინსტრუქცია* PDF, საერთაშორისო ბაკალავრიატი, 2018.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. "საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა". *ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი*., ncp.ge/en/home.
- *სადიპლომო პროგრამის პროცედურების სახელმძღვანელო*. PDF, საერთაშორისო ბაკალავრიატი, 2017.
- *IB სადიპლომო პროგრამის შეფასების წარმართვა* PDF, საერთაშორისო ბაკალავრიატი, 2018.